№ 2. **სახალხო გაზეთი** № 2.

შაბათი, 8 მაისი 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი.

**ამ წლის 7 მაისიდან გამოდის**

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

# სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **8 მან. 50 კ.**, ნახევარი წლით—**4 მან. 80 კაპ.**, ერთი თვით—**80 კაპ.**

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

******ხელის-მომწერთა საყურადღებოდ******

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

**„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.**

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12, Семену Пашалишвили.

**კვირას, 9 მაისს**

## გრიგოლი კონსტანტინეს ძე ერისთავის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილი იქმნება პანაშვიდი. პანაშვიდი დაიწყება ნაშუადღევის პირველ საათზედ. (1—102—1)

**სოფრომ ზაქარიას ძე და ნინო თევდორეს ასული მგალობლიშვილები** შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 9 ამა მაისს წლის თავზე გარდაცვალებიდან დაუვიწყარის შვილის ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტის

## ლევანის (ლეო)

სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე დილით. (2—მგ.—1)

კვირას, 9 მაისს ნორაშენის ღვთისმშობლის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა

## ეკატერინე ავეტიქის ასულის ფრიდონოვის

სულის მოსახსენებლად, რასაც შვილნი განსვენებულისა **გრიგოლ და მნაცაკან ეგორის ძე ფრიდონოვები** აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დაიწყება 10 საათზედ, პანაშვიდი 12 საათზედ. (2—101—1)

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ზ. ს ს. ს. ქართულ სახალხო წარმოდგენების მართველი წრე.

**კვირას, 9 მაისს, 1910 წ.**

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით**

წრის სცენის მოყვარეთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

## შემოსავლიანი ადგილი

კომ. 5 მოქმ. ოსტროვსკისა.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარელი, თ. გოგოლაშვილი, თ. თამარაშვილი, ე. ციმაკურიძე, ბ-ნნი. გ. ანაშვილი, მ. ბაქრაძე, გოცირიძე, მეტრეველი, ნარი, ბეჟანოვი, ჭასკვეტაძე და ცაბაძე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ-დღე: დილის 12—2 და საღამოს 6—8 საათამდე.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათს, 20 მაისს, 1910.

ადმინისტრატორი **ა. ჭეიშვილი.**

მორიგი წევრი **ხურმავა.**

რეჟისორი **შათირიშვილი.**

## ქართული თეატრი

**შაბათს, 8 მაისს, 1910 წ. გრიგოლ რობაქიძე** გამართავს

## ლიტერატურულ საღამოს,

სადაც ყოველი მონაწილე თავის ნაწარმოებს წაიკითხავს.

**ბელეტრისტულ ესკიზებს წაიკითხავენ:** ადამაშვილი, არაგვისპირელი, გრ. დიასამიძე, ილ. ელეფთერიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ლევ. მეტრეველი და ვ. ყიფიანი.

**ლექსებს წაიკითხავენ:** ვაჟა-ფშაველა, ახოსპირელი, გრიშაშვილი, მაყაშვილი და შანშიაშვილი.

**კრიტიკულ ეტიუდებს წაიკითხავენ:** კიტა აბაშიძე (წაიკითხავს ამ თემაზე: „ვეფხის ტყაოსანი როგორც სიმბოლო“), ივ. გომართელი (წაიკითხავს ამ თემაზე: „ვახტანგ ორბელიანის პოეზია“) და გრ. რობაქიძე (წაიკითხავს ნაწყვეტს ლექციიდან: „რუსთაველის შემოქმედება“).

**დაწვრილებით პროგრამებში.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ბილეთები ეხლავ იყიდება თეატრის კასსაში. (6—6)

**15 მაისამდე** **ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის კანტორაში** მიიღება იმ პირთა განცხადებები, რომელთაც სურთ ქართულ სცენაზედ მუშაობა. ამავე თვის ოც რიცხვებში გაიმართება **გამოსაცდელი წარმოდგენები.**

ამ წარმოდგენებზე დაესწრებიან მხოლოდ გამგეობის წევრები, მსახიობი და პრესსის წარმომადგენელნი.

(5—3) **ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1/2}$—11 ს.

**გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1/2}$—$3^{1/2}$ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ხ.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და ხუთ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ვ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**ხოზოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—171)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ა. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—335)

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^{1/2}$—$6^{1/2}$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და შარდე მილის გასინჯვა საღამოს $6^{1/2}$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (75—კგ.—64)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი მ. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩრაია). (0—118)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—177)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—58)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

**ექიმი ბავშვებისა ქუთაისში ბადრიძე**

1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—13

**ექიმი დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, შარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კგ.—36

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—429)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კირჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი შ. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზბეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—86)

ამხ. „სორაპანის“ გამოცემა

## უკანასკნელი ვადა

გიუი-დე მოპასანის

**◀ თხზულებაზე ▶**

ხელის მოწერისა არის

## 10 მაისი.

(უ. 6—4)

**ახალი დასურათებული**

**საყმაწვილო წიგნი**

## „ცხოველების გამჭრიახობა“

შედგენილი ან. წერეთელის მიერ.

ფასი 25 კ.

და მარკ ტვენის თხზულება მრავალი — სურათით —

## „ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი“

ფასი 60 კ.

იყიდება „ჯეჯილი“-ს რედაქციაში და წიგნის მაღაზიებში.

ვინც ათზე მეტს იყიდის, დაეკლება 20%. (6—6)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^{1/2}$-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^{1/2}$ საათ.

**კალამქაროვი**—ებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11^{1/2}$—$12^{1/2}$ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

**ლიმონი**—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—$11^{1/2}$ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—ნ.—42)

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან;

7 მაისი.

**ს პ ა რ ს ე თ ი**

**პეტერბურგი.** გაზეთი „როსსია“ სწერს: ამ დღეებში გაზეთ „ფოსიშე ცაიტუნგში“ დაიბეჭდა ვენიდან გამოგზავნილი დეპეშა. დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ მოსალოდნელია სპარსეთის სესხის საქმემ საერთაშორისო ხასიათი მიიღოსო. ამას გარდა იუწყებოდნენ: ინგლისმა და სპარსეთმა ოსმალეთს შეატყობინა, სპარსეთში სტრატეგიულ რკინის გზების გაყვანა მხოლოდ ინგლისელებს და რუსებს შეუძლიანთ. თუ სპარსეთი სესხს აიღებს, კანტროლი რუსეთს და ინგლისს ეკუთვნისო. დეპეშა არეულ ცნობებს იძლევა. ინგლისს და რუსეთს სპარსეთისთვის ასეთი განცხადებით არ მიუმართავთო. თავის დღეში კრინტიც არ დაძრულა იმის შესახებ, რომ ინგლისს და რუსეთს სამთა კავშირის სახელმწიფოთა, და სხვა რომელიმე სახელმწიფოს საკაჭრო-ეკონომიური ინტერესები შეეზღუდოთ. 1907 წლის ინგლის-რუსეთის შეთანხმების ძალით სპარსეთში სახელმწიფოებმა თავისუფლად უნდა ივაჭრონ და ამ მხრივ ერთნაირი უფლებები უნდა ჰქონდეთ. ინგლისის და რუსეთის მოქმედებას თავის დღეში არ დაურღვევიათ ეს პრინციპი. ინგლისი და გერმანია სპარსეთის მეზობლები არიან, მჭიდრო კავშირი აქვთ მის ეკონომიურ ცხოვრებასთან და სპარსეთში ბევრი ფულიც ჩაუყრიათ, მარტო რუსეთს ას მილიონამდე და ამიტომ მათ უფლება აქვთ სპარსეთის პოლიტიკურ საქმეებში მეტი გავლენა იქონიონ, სანამ სხვებმა. ჩვენ გვგონია, რომ გერმანიაც ამავე აზრისაა. 1909 წელს, 16 მარტს, კანცლერმა ბიულოვმა რეიხსტაგში განაცხადა: გერმანიას სპარსეთში მხოლოდ ეკონომიური ინტერესები აქვსო. არა გვგონია გერმანიას საბუთი ჰქონდეს თავის ინტერესების დარღვევა დაინახოს იმაში, რომ ინგლისი და რუსეთი თხოულობენ თვითონ გაიყვანონ ის რკინის გზები, რომლებსაც პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. თუ გერმანია აღიარებს, რომ რუსეთს სპარსეთში უპირატესობა ეკუთვნის და თუ რუსეთი ხელს არ შეუშლის გერმანიას დაიცვას სპარსეთში თავისი ეკონომიური ინტერესები, ვფიქრობთ, რომ შესაძლებელი გახდება რუსეთ-გერმანიის შეთანხმება სპარსეთის საქმეებში.

**თეირანი.** ჩამოვიდა ჯელალუდდოულე, ზილი-სალტანეს შვილი.

წავიდა გერმანიის ბანკის აგენტი რიუტე.

სეპეხდარი პრეიმერ-მინისტრად დარჩა.

### აჯანყება ალბანეთში

**სალონიკი.** კონცენტრაცია დრენიცაზე იერიშის მისატანად დამთავრდა. 5 მაისს მიტროვიცაში წავიდა ორი ბატალიონი, რომელთაც უარი სთქვეს ალბანელთა წინაალმდეგ ბრძოლაზე. 5 მაისს პრიშტინში გაემგზავრნენ მაჰმედ-შევკეთ-ფაშა და უსკიუბის ვალი. მორავის დაბლობებში აჯანყებამ ხელახლა იფეთქა. სოფელ ვირნოგლავის მიდამოებში 5 მისს ახალი შეტაკებები მოხდა. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ბევრი თოფი და საომარი მასალა. ალბანელების უმთავრესი ძალა მორავაში ყარადაღის მთებშია თავმოყრილი, განსაკუთრებით სტუდენცის ტყეებში. ამ მიმართულებისკენ 5 მაისს კორბულაქიდან სამი ბატალიონი წავიდა, ორი სამთო იარაღით და ორი ტყვიის მტყორცნელით. ამბობენ რომ მონასტირის მიდამოებში, პრიზრენის მახლობლად შეტაკება მოხდაო.

**საზღვარ-გარეთ.**

**ბერლინი.** გერმანიის და უცხოეთის სხვა და სხვა კუთხიდან მოსული ცნობებით დედამიწის კამეტის კუდში გავლას არავითარი არა ჩვეულებრივი მოვლენანი არ გამოუწვევია.

**ლონდონი.** მოვიდენ პორტუგალიის და ბელგიის მეფეები, რუსეთის, საფრანგეთის და ოსმალეთის დეპუტაცია. მოვიდა მეფე ვილჰელმი, რომელსაც სადგურზე შეხვდა მეფე შვილებითურთ.

**შალონი მარნაზე.** ავიატორი შერე გაფრინდა მურმელონში და შემდეგ დაბრუნდა შალონში. ამით მან შეჰქმნა ახალი რეკორდი შორს ფრენისა მგზავრებით.

**ჰავანნა.** დინამიტის აფეთქებით საპოლეციო ყაზარმაში 100 კაცი მოკვდა; ასამდე დაჭრილია.

**ვენა.** პარლამენტის საბიუჯეტო კომისიაში კრამარჟმა გაილაშქრა რუსინთა ნაციონალური კავშირების დევნის და დახურვის წინაალმდეგ და სთქვა, რომ თუმც რუსეთი მშვიდობიანს გუნებაზეა, მაგრამ ყველამ, ვისაც სურს ავსტრიასა და რუსის შორის კეთილი განწყობილების შენახვა, უნდა ერიდოს ისეთ რამეს რაც სულიერად აღაშფოთებს რუსის ხალხს.

**პარიზი.** გარდაიცვალა პოლინა ვიასდო.

**ბარსელონა.** აფეთქდა ორი ყუმბარა. მსუბუქად დაიჭრა ერთი კაცი.

### ჰაერში ფრენა

**ჟიუფვიუი.** ფრენის დროს ათი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა ავიატორი ნაუ. ნაუ მძიმედ დაშავდა. იგი უგრძნობლად არის. აპარატი დაიმტვრა.

**მოსკოვი.** გაფრინდა ავიატორი უტოჩკინი. იგი ავიდა ასი მეტრის სიმაღლეზე. იფრინა სულ 14 წუთი და 22 წამი. უტოჩკინი მგზავრთან ერთადაც გაფრინდა.

**რ უ ს ე თ ი**

**ნოვგოროდი.** ბელოზერსკის მაზრაში უცნობები თავს დაესხნენ მაზრის უფროსსა და ბოქაულს.

**ოდესა.** სენატორ დედიულინმა მოულოდნელად დათვალიერა გემი „იაროსლავი“ ამ გემით საინტენდანტო ვლადივოსტოკში ფქვილს გზავნიდა, შეამოწმეს სასწორი, რომელიც სწორი გამოდგა. ამას გარდა შეამოწმეს ფქვილი.

**მინსკი.** საქციიზო მმართველობის ბუჰალტირის თანაშემწემ შემნახველ კასიდან გაიტაცა 6500 მანეთი და მიიმალა.

**მოსკოვი.** დააპატიმრეს ყველა ისინი, რომელთაც საგუბერნიო ხაზინიდან, ყალბი დოკუმენტებით 142,000 მანეთი გაიტანეს. ფული იპოვეს.

**ასტრახანი.** გემის „ალიოშა პოპოვიჩის“ წასვლის დროს, გემის ქვედა ნაწილში ცეცხლი გაჩნდა. მსუბუქად დაშავდა რამდენიმე კაცი. ცეცხლი ჩააქრეს.

**პეტერბურგი.** ღამე ოროდოვნის შესახვევში 20 სახლს ცეცხლი გაუჩნდა. 500 კაცზე მეტი უსახლ-კაროდ დარჩა.

**კიევი.** ოდესსიდან დაბრუნდა სენატორი დედიულინი და რევიზია განაახლა. შეუდგნენ ინტენდანტების და მოიჯარადრეების დეპეშების გადასინჯვას.

**პეტერბურგი.** ხელმწიფის დაბა-

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული

დღის დღეს სატახტო ქალაქი ბაირაღებით იყო დამშვენებული და სადღესასწაულო შეხედულება ჰქონდა. ყველა ეკკლესიებში და სახელმწიფო სასწავლებლებში სადღესასწაულო ღვთის-მსახურება გადაიხადეს. განსაკუთრებით ბრწყინვალე იყო წირვა ყაზანის ტაძარში სადაც სახელმწიფო საბჭოს, სამინისტროს, გენერალიტეტის და უმაღლესი დაწესებულებების წარმომადგენლნი დაესწრნენ. სალამოს ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. სააგენტომ რუსეთის და ევროპის სხვა და სხვა ქალაქებიდან მიიღო ცნობები დღესასწაულის შესახებ, რომელთაც რუსეთის კოლონიის და საკონსულოების წარმომადგენელნი დასწრებიან.

### ხ ო ლ ე რ ა

**კიევი.** მდინარე დნეპრით ეკატერინოსლავში მომავალ გემზედ ორი ხოლერით ავადმყოფი კაცი აღმოჩნდა.

## ქუთაისის ავ-კარგი

მართალი გითხრათ ადგილობრივ რუსულ ფურცელს არა ვკითხულობ და დღემდის არ ვიცოდი, რომ იგი ჩემს წერილს შეეხო ამ ფურცლის შესახებ.

წერილს ასეთი სათაური აქვს „კიდევ გაზეთ „დროებაზე". სჩანს „დროების" შესახებ ამ გაზეთს სხვა რაღაც დაუწერია და თუ მეტი არა, მეორედ მაინც იხსენიებს ჩვენს გაზეთს. არ ვიცი რაზე ჰქონდა პირველად ლაპარაკი, მაგრამ ის რაც № 34 მოთავსებულია, სრულ ჭეშმარიტებად ჰყოფს იმ გარემოებას, რომ ამ გაზეთს შეცდომით მიუთვისებია „ქუთაისის ფურცლის" სახელი:—მისი ჭეშმარიტი სახელწოდება „ქუჩის ფურცელი" უნდა იყოს. თუ არ „ქუჩური ფურცელი" სხვა გამოცემა ვერ მოახერხებდა ისეთს უხამსს ლანძღვა-გინებას, როგორიც ამ გაზეთს ჰქონია შეთვისებული. თავის დამცირებად მიმაჩნია პასუხის გაცემა, მაგრამ ამ გაზეთის მკითხველის საყურადღებოთ არ შემიძლია არ მოვიყვანო ორიოდე მაგალითი მისი ლანძღვის ლექსიკონიდგან.

„შემცდარა (ამბობს გაზეთი ჩემზე) როცა მკითხველის საზოგადოების გონებრივ მოთხოვნილების საზომად. **აულია თავის უბადრუკი ქათმის ჭკუის საჭიროება**". (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). „პირველი აზრი, რომელსაც ემხრობიან ქუთაისში (**ეს აზრი უფრო ტფილისის გაზეთის კორესპონდენტის ცარიელ თავში ტრიალებს**)" ნატალიაშვილის სიტყვით ის არის, რომ" და სხ.

ამისთანა ხელი-ხელ საგოგმანებელი მარგალიტები მრავლად არის გაფანტული ქუთათურ შეუდარებელ გაზეთში, მაგრამ კმარა... თუ ქუჩური გაზეთის მკითხველი უკვე მიეჩვია ამ სიფაქიზით სავსე პოლემიკას, ჩვენს მკითხველს მაინც ნუ აუმღვრევთ გულს...

30 აპრილს მომხდარმა ჩხრეკამ განცვიფრება გამოიწვია მთელს ქალაქში. გაჩხრეკილთა შორის ისეთი პირები არიან, რომ მათ შესახებ ეჭვის შეტანა მარტო უცოდინარს ან გონება დაკარგულ კაცს შეეძლო. აშკარაა, ჩხრეკის ინიციატორები შეცდომაში იყვნენ შეყვანილი ისეთ პირთაგან, რომელთა რიცხვი დღითი დღე მრავლდება და რომელნიც უკვე ალარაფერს ერიდებიან.

ამას წინად ვნახე ქალაქის საავადმყოფოთ განძრახული შენობა სალორიაში. შენობამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და ეჭვი არ არის ავადმყოფნი უკეთესად იგრძნობენ აქ თავს, ვიდრე ეხლა, როდესაც მოუწყობელ შენობაში არიან მოთავსებულნი. მაგრამ ერთი კითხვა იბადება—რა საშუალებით უნდა მოიყვანონ მსურველნი ისეთს საავადმყოფოში, რომელიც ქალაქის ცენტრიდან სულ მცირე რომ ვსთქვათ ორი-სამი ვერსის მანძილით არის დაშორებული.

ირკვევა, რომ საადგილ-მამულო ბანკის მოგება ნაკლებია წინა წლის მოგებასთან შედარებით და საერთო საჭიროების დასაკმაყოფილებლად სულ 55.000 მანეთი დარჩენილა. შარშან ამავე საჭიროებისთვის დარჩა, თუ ხსოვნა არ გვღალატობს, 71 ათასი მანეთი; მაშინ გვეუბნებოდნენ, მომავალი წელიწადი მეტს ნაყოფს გამოიღებს, რადგან ბევრი სესხი გაიცა, ბანკზე დარჩენილი მამულების საქმე მოვაწესრიგოთო და სხვა. ჯერჯერობით ნამდვილად არ ვიცით და ეჭვით კი მოგების შემცირების მიზეზად სხვათა შორის იმას ასახელებენ, რომ გამგეობას დროზე არ შეუძენია გირაოების ფურცლები—დახშული ვალის გასაბათილებლად.

აღდგომა და ხვალაო, ამბობს ანდაზა კრებაზე გამოირკვა, რათ არ გამართლდა შარშანდელი დაპირებანი გამგეობისა მოგების შესახებ.

* *

თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილეს მეგობრული ბაასი ჰქონია ქართულ გიმნაზიის საამშენებლო კომისიის წევრებთან. მას უთქვამს, რომ თავად-აზნაურთა არჩევნებს არ დაამტკიცებს სათანადო მთავრობაო; თუ ეს მართალია, ისიც სიმართლეთ უნდა მივიჩნიოთ, რომ ყოველი აქტი წარსული კრებისა უკანონოდ უნდა იყოს ცნობილი და მაშასადამე არც თქვენი არჩევანია წესიერი. ამგვარ ლოგიკას კაცი ვერსად წაუვა და საამშენებლო კომისიას იმის მეტი არა ეთქმოდა, რომ თავის არსებობა უკანონოთ ეცნო. ეს კანონია და ეთიკის მხრით კი თავად-აზნაურთა წინამძღოლი, მეტი რომ არა ვთქვათ, სწორ გზას უხვევს. თავად-აზნაურთა კრება კანონიერი იყო თუ უკანონო, დასავლეთ საქართველოს ისეთ თ.-აზნაურთაგან შესდგებოდა, რომელიც წინამძღოლის აზრით მაინც, კანონიერი უფლებით იყვნენ აღჭურვილნი. ამ კრების დიდმა უმეტესობამ გამოსთქვა სურვილი, რომ არც ერთი ხარჯი არ გაღებულა მისგან არჩეულ საამშენებლო კომისიის დაუკითხავად და საზოგადოთ ამ კომისიას ჩააბარა ქართულ გიმნაზიის შენობის საქმე. ეხლა ამ კომისიის წევრთ ეუბნებიან—მეცხრე ტომის რომელიღაც მუხლი დარღვეულია მთავრობის აზრით და ამიტომ თქვენი მოვალეობის შესრულებას დაანებეთ თავი. ცოტა მოუხერხებელია, თუ დაგვეთანხმება ბ. წინამძღოლი.

**ნატალიაშვილი.**

## ოსმალეთი და პატარა ერები

მახლობელ აღმოსავლეთის მდგომარეობა რაც დრო გადის უფრო რთულდება და მოსალოდნელია იქ საშინელი ამბები დატრიალდეს. საქმე უმთავრესად შეეხება ოსმალეთსა და იმ პატარა ერებს, რომელნიც თავიანთ ისტორიულ მსვლელობის დროს ბედს იქამდის მიუყვანია, რომ ოსმალეთის სახელმწიფოს ფარგლებში მოქცეულან. ოსმალეთი გადაჭიმულია მცირე აზიისა და ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. მთელს ამ ტერიტორიაზე ბევრი სხვა და სხვა ერები სცხოვრობენ, ბევრს ამ ერებიდან აქვს თავისი განცალკევებული სულიერი სალარო, თავისი კერძო პოლიტიკური იდეალები. ამ ერთა მისწრაფება უფრო თვალსაჩინო გახდა ოსმალეთის განახლების შემდეგ, როდესაც იმდენს ამდენი ნაკადული დაიღვარა ამ ერების გარანტიების შესახებ, როდესაც ამდენი სიტყვა წარმოითქვა ძმობასა და თანასწორობა ერთობაზე. განახლებულ ოსმალეთისაგან მოელოდნენ პატარა ერები თავიანთ უფლებათა აღდგენას. არაბებში, ალბანეელებში, ბერძნებში მაკედონელებში იყო და დღესაც არის მისწრაფება თავის კულტურულ საჭიროებათა დაკმაყოფილებისა და თავისებურობის დასაცავად ერთგვარი პოლიტიკური ორგანიზაცია მოაწყონ. მაგრამ ოსმალეთის ხელმძღვანელნი და ის პარტია, რომელიც სათავეში ედგა დესპოტიზმის დამარგუნველ ძალას, ცენტრალისტურ მისწრაფების მატარებელია დღესაც, როდესაც ქვეყნის გამგებლობის სადავეები ხელთ უპყრია. ამ პარტიას იმდენი ნიჭი და უნარი ვერ გამოუჩენია, რომ ეროვნულ საკითხს ანგარიში გაუწიოს და სიტყვით ერთობაზე და თანასწორობაზე ძახილის ნაცვლად პატარა ნაბიჯი მაინც გადადგას ამ საკითხის გადასაწყვეტად. ჭირის მალვა შეიძლება, მაგრამ დიდხანს კი არა. ერთხელაც არის თავს იჩენს და მთელი თვის საშინელებით მოევლინება სხეულს. ასეა საზოგადოების ცხოვრებაშიც. დღეს შეიძლება იარაღით დაშინება შესაძლებელი იყოს და ეგებ ამ იარაღის სიძლიერემ ხვალაც მუხლს მოგკვეთოს, მაგრამ მუდამ კი ვერ დაადუმებს ცოცხალ ადამიანს და მით უმეტეს ცოცხალ ერს.

დღეს ალბანიის მოძრაობას ბევრი რეაქციონურ მოვლენად სთვლის. ოსმალეთის მდგომარეობა ისეთია, რომ თუ იმას სურს განვითარება აუცილებლად ანგარიში უნდა გაუწიოს ეროვნულ საკითხს და რაიმე პრაქტიკული გასავალი მისცეს პატარა ერებში დაგუბებულ უკმაყოფილებას ყველა გულწრფელი მეგობარი ოსმალებისა ურჩევს ავტონომიური უფლებები მიანიჭოს პატარა ერებს და ფედერალიზმის პრინციპი გაატაროს ცხოვრებაში. მაშინ ნაკლები დეფექტები იქნება. არც ალბანელები და არც არაბები იმ გზას აღარ დაადგებოდნენ და ისეთ უკიდურეს ღონეს არ მიმართავენ, როგორც ეხლა მიმართეს.

იმის გამო, რომ ასეთი პოლიტიკაა გამეფებული, ყველას ადვილად შეუძლიან ხალხის გულში დაგუბებული უკმაყოფილება გამოიყენოს თავის მიზნის დაგვარად. შესაძლებელია მართლაც ძველმა რეაქციონერებმა ალბანიის მთებში გადაეტანათ თავიანთი მოღვაწეობა, მაგრამ იმათ მოღვაწეობას ასეთი ნაყოფი არ ექნებოდა, ალბანიაში რომ გამზადებული ნიადაგი არ ყოფილიყო.

ალბანელების მოძრაობით ბევრი სარგებლობს. კრიტელებმა მეტად სახიფათო ნაბიჯი გადასდგეს: საბერძნეთის მეფე გიორგის მისცეს ფიცი, რის გამოც ოსმალეთმა გემები და არტილერია გაგზავნა საბერძნეთის საზღვრისაკენ. გაზეთების ცნობით მაკედონელებიც გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ ალბანიის მოძრაობას და თუ დაინახავს, რომ მოძრაობა უფრო გაფართოვდა, ეცდებიან უკმაყოფილოთა ბანაკისაკენ გადინაცვლონ. მეორეს მხრივ კიდევ თვალსაჩინო მოვლენაა ბალკანეთში. სერბიელები დემონსტრაციას ახდენენ კუმანოვოში, სადაც მომავალში უნდა ერთდებოდეს ოსმალეთისა და ბოლგარიის რკინის გზები. კუმანოვა ძველ სერბიის ახლოა და სერბებსაც თვალი უჭირავთ ამ ქალაქზე. ბოლგარებიც და სერბებიც მოწადინებულნი არიან ეს ლუკმა ჩაიგდონ თუ ცალ-ცალკე არა, სანახევროდ მაინც. ამნაირად, ერთის მხრით კრიტის საქციელი, მეორეს მხრივ ალბანელებისა და სხვა ყურმახვილ მეზობელთა ხელის პოტინი მეტად სერიოზულ მდგომარეობაში აგდებს განახლებულ ოსმალეთს. ოსმალეთის პროვინციების მოძრაობას ხელზე იხვევენ მეზობლები მთელი სახელმწიფოს დასასუსტებლად. და აი, აქ არის საჭირო დაკვირვება და სახელმწიფო ნიჭი. თუ ოსმალეთის მთავარ-სარდალი მაჰმუდ-შევკეთ ფაშა დაიყოლიებს ალბანელთა მეთაურებს და მშვიდობიანად გაათავებს მათთან საქმეს—ხომ გაუცრუვდება ყველას იმედები. მაგრამ, საქმე ის არის, რომ სხვა და სხვა ცნობა მოდის ალბანიიდან. მთავარ-სარდალი იერიშს მიიტანს ალბანელებზე. ცეცხლს მისცემს სოფელსა და ქალაქს და გამარჯვების შემდეგ ჯარებს ჩაუყენებს მცხოვრებლებსაო. თუ ეს გამართლდა შეიძლება მართლა დროებით მორჩილების ქვეშ მოიყვანონ და იარაღის შიშით ქედი მოახრევინონ ალბანელებს, მაგრამ მალე კვლავ იფეთქებს უკმაყოფილება და ამით მეზობლებიც ისარგებლებენ ოსმალეთის შესასუსტებლად.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **პროფ. მელიქიშვილის ჩამოსვლა.** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ცნობილი ქიმიკოსი, ოდესსის უნივერსიტეტის პროფესსორი, ჩვენი თანამემამულე პ. გ. მელიქიშვილი.

✦ **ექსარხოსის მოგზაურობა.** გუშინ დილით საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი [illegible] გუბერნატორი ქალაქის ზოგიერთ სამღვდელო პირთა თანხლებით სიღნაღს გაემგზავრა. ექსარხოსი, სხვათა შორის, ბოდბის მონასტერს ინახულებს.

✦ **მინისტრ კოკოვცევის ჩამოსვლა.** 24 მაისს, ტფილისში ფინანსთა მინისტრ კოკოვცევს მოელოდნენ. როგორც ახლა დანამდვილებით გავიგეთ, მინისტრ კოკოვცევის ჩამოსვლა გადადებულ იქმნა. მინისტრი პეტერბურგში სახელმწიფო სათათბიროს სხდომების დასრულებამდე დარჩება.

✦ **ჯარიმა** ტფილისის გენერალ-გუბერნატორმა ნებადაურთველად იარაღის ტარებისათვის ტფილისის მცხოვრები ა. იავორსკი 15 მანეთით, ხოლო ლ. დოლიძე 50 მან. დააჯარიმა. თუ ჯარიმას არ გადიხდიან, დააპატიმრებენ: პირველს შვიდის დღით, ხოლო მეორეს—ერთი თვით.

✦ **ქალაქის საგაზო ქარხანა.** ქალაქის საგაზო ქარხნის სამუშაო დღემდე იჯარით ვერ გაიცა, რადგან ქალაქის გამგეობის მიერ წამოყენებულ მძიმე პირობების გამო საიჯარო ვაჭრობაში უცხოეთისა და რუსეთის ფირმებმა მონაწილეობა არ მიიღეს. ამიტომ ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ქალაქის ინჟინერს თუ შესაძლებელია საიჯარო პირობები შეამსუბუქოს.

✦ **ავტომობილით მიმოსვლა.** მოკლე ხანში ერევნის მოედნიდან ელექტრონის ფუნიკულერის ქვემოთა სადგურამდე ავტომობილების წესიერი მიმოსვლა დაიწყება.

✦ **გადასახლებულთა შეპყრობა.** 6 მაისს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო ადმინისტრატიულად გადასახლებულნი და თავის ნებით დაბრუნებულნი; ალექსანდროპოლის მცხოვრები სემიონ სარქისაძე სარკისიანი და ტფილისის მცხოვრები ალექსანდრე სერგეისძე ავაკოვი. მათ პასუხის გებაში აძლევენ.

✦ **სეირნობა.** ხვალ, 9 მაისს, მუშტაიდში ტფილისის საბალოსნო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ დიდი სეირნობა გაიმართება.

✦ **სეირნობის გადადება.** 2 მაისისთვის ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნული სეირნობა შემოდგომისათვის გადაიდო.

## უმადურ შვილს რა მოელის?

ერთ სოფელში სკოლა არ იყო და ვერც დაარსეს გლეხებმა სიღარიბის გამო. ამ სოფელში სცხოვრობდა ღარიბი და გამრჯელი გლეხი თადო, ჰყავდა ერთი შვილი. თადომ იფიქრა: „მართალია, შვილი რომ არსად გავგზავნო და გვერდს ვიყოლო, ბევრს მარგებს, ბევრში გამომადგება, ბევრს შემწეობას მომცემს, მაგრამ შვილი მოჯამაგირე ხომ არ არის, რომ მარტო ვიმსახურო; მეც მოვალე ვარ მამობა გავუწიო და ვიფიქრო მისთვის, რაც საბოლოოდ გამოადგება; უსწავლელი კაცი არაფრად ვარგა; დრო წინ მიდის, თუ კაციც თან არ მიჰყვა და განათლება არ მიიღო, ველარ იცხოვრებსო". თადო კარგად ჰხედავდა, რომ ვინც სკოლაში გაიზარდა, კაი კაცი გამოვიდა; თვითონაც ფარსაგად სცხოვრობდა, დედმამასაც ჩინებულად ინახავდა და თავის ხალხსაც ბევრ სიკეთეს უშვრებოდა. თადო ადგა და შვილი ტფილისს წაიყვანა სკოლაში.

თადოს, როგორც ბევრ სხვა გლეხს, ცოტა მიწა ჰქონდა: იმდენი პურიც არ მოსდიოდა, რომ ისა და მისი ცოლშვილი იოლად გამოსულიყვნენ, რომ სულადი მაინც საყიდი არ ჰქონოდა. მაგრამ თადო მხნე კაცი იყო, გადიოდ-გამოდიოდა, მუშაობდა და ნაშოვნი ფულით ოჯახსაც ეწეოდა და შვილსაც ინახავდა: სწავლის ფულსაც აძლევდა სასწავლებელში და შვილის სახლის პატრონსაც სვინდისიერად უსწორდებოდა თავთავის დროზე. ასე გაათავებინა შვილს ის სკოლა. სწავლის დამთავრების შემდეგ მისი შვილი სამაზრო მმართველობაში შევიდა სამსახურში. მამა არც იქ ივიწყებდა: მალ-მალე უზიდავდა გამტკიცულ პურებს, ღვინოს, ერბოს, ყველს, ქათამ-ინდოურებს და სხვა სანოვაგეს. თადოს შვილს რამდენიმე წლის შემდეგ ბოქაულობა მისცეს სხვა საგუბერნატოროში. მამას არ უნახია იქ ისა, მაგრამ იმედი კი დიდი ჰქონდა; ეგონა შვილი მშობლებს და თავის ქოხს არ დაივიწყებდა: დედ-მამასაც უპატრონებდა, სახლკარსაც უკეთესს გააკეთებდა, სახნავ-სათესს მამულსაც კიდევ შეიძენდა, მამას ფულით დაეხმარებოდა და მერე ამან თვითონ იცოდა, როგორ ან მოჰხნავდა და მოჰმკიდა, როდის გასთიბდა და მოჰხვეტდა, როგორს ბაღსა და ვენახს გააშენებდა, დაცემულ ოჯახს როგორ წამოაყენებდა! მოხუცი თადო ასე ოცნებობდა, მაგრამ ბედი სხვა ნობათს უმზადებდა. ზედ-დატანებით არეულობა, ანუ რევოლიუცია მოხდა. თადოს შვილს ჯერ მაზრის უფროსის მოადგილეობა მისცეს, შემდეგ მაზრის უფროსობაც და მერე იმ მაზრაში, რომელსაც თადო ეკუთნოდა. თადოს და მის ცოლის მარინეს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. „დედა-კაცო", უთხრა თადომ მეუღლეს, პირველად რომ შვილის მაზრის უფროსად დანიშვნა გაიგონა: „შეიტყე ახალი ამბავი: ჩვენი კიკუშა ნაჩალნიკად დაუყენებიათ, და დღეის შემდეგ დიდკაცის დედა იქნები! კაი ბიჭუნა გამოგვადგა, აი მადლ-ჩემმა ღმერთმა. ეხლა კი უნდა ვნახოთ, ჩავიდეთ, რამდენი ხანია, რაც ერთ-ურთისთვის თვალი არ დაგვიცია. რა ვუყვოთ, თუ დიდ-კაცების საკადრისი ტანისამოსი არ გვეცმის და სიტყვა-პასუხი არ გვექნება; სხვა ხომ არ არის, ჩვენი შვილია, არ დაგვზრახავს".

ცოლმა და ქმარმა გადასწყვიტეს ჩასულიყვნენ შვილის სანახავად და ძღვენიც ჩაეტანათ, რასაც მოახერხებდნენ. მაგრამ ამათ იქ სიარული არ დასჭირდა; ახალმა მაზრის უფროსმა მოსვლისათანავე მოიწადინა მაზრის მიმოვლა და, სხვათა შორის, თავის სოფელშიაც მოვიდა დანიშნულ დღეს ხალხი შეიკრიბა სასოფლო კანცელარიასთან. აქ იყო ყველა: გლეხი და თავადი, დიდი და პატარა. თადო და მარინეც იქ იყვნენ. ნაცნობნი ამათ მოწიწებით ულოცავდნენ: „ღმერთმა გიბედნიეროთ, კაი შვილი გამოგადგათ, ნეტავი თქვენო". ესენიც ბედნიერნი ბოდიშს იხდიდნენ. აგერ გამოჩნდა ჩაფარი და ამბავი მოიტანა, მოდიანო. პატარა ხანს უკან მაზრის უფროსიც მოვიდა; თან ცხრა-ათი ტანისამოსით და აბჯარით კოხტად გამოწყობილი ჩაფარი ახლდა. მამასახლისმა პურმარილი მიართვა და ყრილობამ „ვაშა!" დასძახა. რადგანაც ამ სოფელში ამბოხება არ იყო, მაზრის უფროსმა მადლობა გადაუხადა ხალხს სიმშვიდისთვის და მრავალ მოწყალეობას დაჰპირდა კეთილგონიერებისთვის. როცა კანცელარიაში შესვლა და მოსვენება დააპირა, წინ დედმამა დაჰხვდა, თავიანთ ფიქრში შვილი უნდა მიეკითხნათ: მოჰხვეოდნენ, მშობლურად მიჰსალმებოდნენ. მაგრამ, შვილმა რო დაინახა ეს მდაბიურად ჩაცმული გლეხები, იუკადრისა და ბრაზიანად ჰკითხა: „რას შვრებით, ე. ვინა ხართ, რა თვალსა და ფეხში მეჩხირებით, უკან ვერ დაჰდგებით?"

— შვილო, შენი დედმამა ვართ, ჩვენო ძვირფასო.

— სტყუით, თქვენ არა ხართ ჩემი დედმამა.

— „არა ვსტყუვით, შვილო, არა, მაღლა ცამ და დაბლა დედამიწამ", წაილუღლუღა მამამ, დიდხანს დააცქერდა შვილის გაყინულ, დაუდევარ სახეს, მერე თვალი აარიდა და თავი ჩაქინდრა. დედამ ტირილი დაიწყო. ხალხი სახტად დარჩა, თითქო მეხი ჩამოვარდა.

მაზრის უფროსმა აინუნშიაც არ გაიტარა, დედმამას სიტყვა აღარ ათქმევინა, მკაცრად დაითხოვა და უთხრა: „თუ ეხლავე არ დაჰკარგულხართ აქედამ, ჩაფრებს ვუბრძანებ, რომ კაი-კაი მათრახები მოგაყოლონთო".

დედ-მამაც მოჰშორდა, მეტი რა გზა ჰქონდათ.

შვილი დეზების წკარაწკურით ოთახში შებრძანდა და მეორე დღესაც ისე წაბრძანდა, დედმამას არ გამოჰმცნაურებია. მშობლები ხომ ჰჩიოდენ და ჰტიროდენ, მაგრამ ხალხმაც ძალიან გულს დაიკლო ეს ამბავი, ორი სამი დღე, ერთი კვირა სოფლის საყაყანო სულ ის იყო. ყველას ჰწყინდა, ყველა ჯავრობდა.

— „მაგისთანა შვილი, თადოს რომ ჰყოლია, ღმერთმა მტერსა და გველსაც ნუ მისცეს. რა ჰქნა, ე, შენი ჭირიმე, გაგონილა?!"—იტყოდა ერთი.

— „გაგონილა და ნახულა როგორ არა. ბევრი დედ-მამას გაჰყრია, სხვას შეჰყრია, ბევრს სამშობლოსთვის უღალატნია, მტერს მისდგომია, ბევრი ემაგრე სამსახურში ყოფილა, ხელმწიფის ჯამაგირი და წყალობა გაჰკვირვებია; შედიდებულა, შეფხორილა; თავისი დედმამა, თავის სოფელი, თავის სამკვიდრო მამული გადაუგდია, ფულზე და ჩინებზე გაუცვლია, მაგრამ ბოლო კი კეთილი არასოდეს ჰქონია. თავის დროზედ დალოცვილ ღმერთს მაინც უთქვამს იმათთვის თავისი სათქმელი, მოუწყვეტია იმათთვის წელი. თადუას ბიჭიც იმას ელოდესო",—იტყოდა მეორე. აცხადდა ხალხის ნათქვამი; ნაჩალნიკ კიკუშას ბოლოს ძალიან ცუდი საქმე მოუვიდა. ერთხელ სამას-ოთხასი თუმანი ფული მიიღო მოხელეებისთვის. ნაცვლად იმისა, რომ დაერიგებინა ჯამაგირები, ნიკალაი ფადეიჩმა ანუ ჩვენმა თადუას შვილმა კიკუშამ, ეს ფულები მიჩქმალა და გუბერნატორს ტელეგრამით აცნობა, ღამე მომიხდენ და ფულები წაიღესო. ბოროტმოქმედებას ახალი მოძრაობის ხალხს აბრალებდა. გუბერნატორმა მოულოდნელად სახლი გაუჩხრიკა და ნიკალაი ფადეიჩს ფული ჰქერის თხელ ფიცრებში შედებული აღმოუჩნდა. უბედურმა კიკუშამ გაუბედურებას და სხვა სასჯელს სიკვდილი არჩია: შუბლში რევოლვერი დაიცა და თავი მოიკლა.

— მერე დედმამამ გარდა დაჰნანდა ვისმე კიკუშა? ახსოვს ვისმე ისა ან ჰლოცულობს ვინმე მისთვის?..

— ერთი ადამიანიც არ იპოვება მისი მახსოვარი, მისი მახსენებელი. ნაჩალნიკ კიკუშას სახელი მისი სიკვდილის უმალვე ისე გაჰქრა, ვითარცა გაჰქრება ხოლმე ნათელი დღის მზის მოსვლისათანავე, რთვილი და ჰირხლი, არ გაჰქრა ის მხოლოდ დედმამისთვის, რომლებიც მასზედ დღესაც მგლოვარენი არიან და მწუხარენი: როცა ნაცნობნი მიუმტკივნებენ და გულის გასაკეთოდ ეტყვიან! „მაგდენს რად იგლოვთ და ჰტირით, ეს თქვენთვის მაინც მკვდარი იყოვო, მწარედ ამოიკვნესებენ- შვილი ღმერთმა მტერსა და გველსაც ნუ მოუკლასო. ნეტა ეცოცხლა და, სადაც უნდა ყოფილიყო.

1907 წ. **მაჩანა.**

## ძველი დაიმსხვრა

(ზღაპარისებური).

ქრიან ქარნი მეხაზარნი.

**შემჩენკო.**

უზარმაზარ ქალაქს, რომელსაც ღამის წყვდიადი გარს შემოხვეოდა, ეძინა. ხანდახან მხოლოდ მყუდროებას ეტლის ხმაურობა არღვევდა და დაგვიანებულ მოქეიფეთა ღრიალი გაისმოდა. შუაგულ ქალაქში აშენებული იყო უზარმაზარი სასახლე და იქ ცხოვრობდა ბატონი, მთელი ქალაქის უფროსი. მრისხანე, ძლიერი, დაუნდობელი. მისი ერთი მრისხანეთ შემოხედვა სიკვდილის ნიშანი იყო; მისი წარბის შეჭმუხვნა მეხის წინამორბედი; არასოდეს სიცილი, ღიმილიც კი მის სახეს არ სცვლიდა და სულ მუდამ ძლიერება, შეუპოვარი აზრი, უდრეკი ჟინი, პატივმოყვარეობა იხატებოდა. იმისათვის არ არსებობდა არავინ და

◆ **ვაჭარ მილოვის დაჭრა.** როგორც ვიცით, 27 იანვარს ავლაბრის ხიდთან უცნობებმა ოთხის ტყვიით მძიმედ დასჭრეს ტფილისის პირველი გილდის ვაჭარი ალექსანდრე ნაზარის ძე მილოვი, რომელმაც რამდენიმე დღის წინად მუქარის წერილი მიიღო და ფულსა სთხოვდნენ. ამ საქმის გამო პოლიციამ პირველად დააპატიმრა ერევნის მოედანზე ოზურგეთის მაზრის სოფ. ზემოხეთის მცხოვრები პროკოფი ლეონტის ძე თევზაძე, 19 წლისა, რომელსაც წინადაც ბრალდებოდა ვერაზე მეეზოვის მოკვლა. ამავე საქმის გამო მას შემდეგ პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე პირი, რომელთა უმრავლესობა განთავისუფლებულ იქმნა, ხოლო დღემდე დაპატიმრებულნი არიან: ილია კაპანაძე, მამიკონ ტერ-აბრამოვი, გალაქტიონ გაბრიჩიძე და აბრამ სალიაშვილი. როგორც პოლიციის ცნობა გადმოგვცემს, ამ პირთ შეუდგენიათ ბრბო, უშოვიათ ბეჭედი წარწერით: „ანარქისტ-კომუნისტთა ორგანიზაცია, პური და თავისუფლება“ და ხალხის ძარცვისათვის მიუყვიათ ხელი. გამოძიება სწარმოებს.

◆ **სამკითხველო.** ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგაში უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო დაარსოს.

◆ **ლექცია კომეტებზე.** 6 მაისს სახალხო სახლში ნ. ა. პავლოვმა წაიკითხა ლექცია კომეტებზე. ლექციას დიდძალი ხალხი დაესწრო და ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვა ლექტორი. რადგან ამ ლექციამ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია, ამიტომ იგი 16 მაისსაც იქნება განმეორებული.

◆ **ახალი სკეტინგ რინკი.** მოკლე ხანში ქალაქის ტყეში, ეგრედ წოდებულ ხუდადოვის საავარაკოში სკეტინგ რინკს მოაწყობენ.

◆ **ტერორისტის დაპატიმრება.** „ტფ. ლისტ.“-ის სიტყვით ამ სამი დღის წინად მალაკნის ქუჩაზე ჟანდარმებმა დააპატიმრეს სიღნაღის მაზრის სოფელ პანიატის მცხოვრები გიორგი ბასილაშვილი, 19 წლისა. ჟანდარმს ბასილაშვილი სადგურზე უნახავს და ეჭვი აუღია, რომ უცნობი ის ტერორისტია, რომელმაც გორის მაზრაში ორი დარაჯი მოჰკლა. ბასილაშვილი სადგურიდან ქალაქში წამოსულა. ჟანდარმი დასდევნებია და დაუპატიმრებია. დაპატიმრებული უკვე გორში გაგზავნეს. იგი გამომტყდარა. წარსულ წლის დეკემბერში ბასილაშვილმა მოჰკლა დარაჯი გუგულაძე. ამ წლის 21 აპრილს სასიკვდილოდ დასჭრა გორის ბოქაულის ბახტაძის მცველი—ჯაფარიძე. ჯაფარიძე სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა. ამას გარდა ბასილაშვილს ბრალდება ძარცვა-გლეჯა.

◆ **უპასპორტონი.** 6 მაისს პოლიციამ შეიპყრო: მერვე საპოლიციო უბანში—16 უპასპორტო, ხოლო მესამეში—13.

◆ **გალლეის კომეტა.** როგორც მოსალოდნელი იყო არ გამართლდა ზოგიერთების შიში, რომ თუ დედამიწამ გალლეის კომეტის კუდში გაიარა, დიდი უბედურება დატრიალდებაო. ქალაქის სხვა და სხვა ადგილიდან ხუთ მაისს დილით ბევრი ცნობის მოყვარე ადევნებდა თვალს კომეტას, მაგრამ ვერაფერი შეამჩნიეს, რადგან ცა ღრუბლებით იყო მოფენილი. ბევრმა მართლა დიდი შიში გამოიარა და მთელი ღამე ნაცნობებსა და მეგობრებში გაატარა, უკანასკნელი ღამე ერთად მაინც გავატაროთო, მაგრამ ყველაფერი კეთილად დაბოლოვდა.

◆ **სამართალში მიცემა.** „ტერეკი“ იუწყება: სამართალში მისცეს ყიზლიარის განყოფილების ატამანი ვერბიცკი და მისი თანაშემწე ესაული ავერინი. ბრალდებათ სამსახურის დროს ბოროტმოქმედების ჩადენა. როგორც ვიცით ამას წინად გაცარცვეს ყიზლიარისა ხაზინა. ვერბიცკიმ ეს წინდა-წინვე იცოდა, მაგრამ ზომები არ მიიღო.

◆ **პროგიმნაზიის გახსნა.** „კავკაზ“-ს სიტყვით პირველ ივლისიდან ტფილისში გაიხსნება ოთხკლასიანი პროგიმნაზია. განზრახული აქვთ პროგიმნაზიად გადააკეთონ პირველ გიმნაზიის ზოგიერთი პარალელური კლასები.

# ახ, ნეტავ იმ დროს...

ახ, ნეტავ იმ დროს... მაშინ გული რა რიგ ჰყვაოდა,
იბნიდებოდა,
იშლებოდა,
ნამად დნებოდა
და ეს სამყარო ცვალებადი, ღვარძლით აღვსილი
შენს ღვთიურ მკერდზე თვით სამოთხედ მეჩვენებოდა.

* * *

როს დრო იხელთო,
ოცნების ღმერთო,
მოდი
გულს ლოდი
გადააგორე,
სხივი მომფინე,
მომეც გზა-სწორე,
მატკბე, მალხინე,
შუბლს მეამბორე,
ზე აღმადგინე.

* * *

ნუ თუ უშენოდ შემიძლიან დავსტკბე, ვიხარო,
და როს გიხილო ნეტარების ცრემლი არ ვღვარო?...

* * *

გული ვნებული შენსკენ მიტომ მოჰფრინავს, გელტვის,
იმიტომ მოსჩქეფს თვალთგან ცრემლი და შავს ზღვას ერთვის,
რომ მომანიჭე, დამიწესე ტანჯვა, ვაება
და მიტომაც ვიტან ნეტარებით ყველაფერს შენთვის.

* * *

ნუ შემიყვარებ... მსურს გწყევლიდე, ვიტანჯებოდე,
ნურც შემიძულებ, მსურს გიცქერდე, უხმოდ ვდნებოდე!..

ი. გრიშაშვილი.

## პატარა ფელეტონი

### კუდიანი ვარსკვლავი

(ქუთათურის დღიურიდან).

1 მაისი.

მშვენიერი მაისის დღეა. ბუნება თითქოს ვერც-კი ჰგრძნობს მოახლოვებულს უბედურებას. მზე მშვიდად ანათებს. მთა-გორაკებს მწვანედ გააქვთ ბიბინი. ფრინველები უდარდელად დაფრთხიალებენ, ჭიკჭიკებენ, ნავარდობენ. ოჰ, ნეტავ თქვენ... რომ შეეძლოს თქვენსავით უზრუნველად ყოფნა ქუთათურებსაც — ამას რა სჯობდა, მაგრამ ის დაწყევლილი კუდიანი ვარსკვლავი ხომ აღარ ასვენებს გულსა და გონებას! ამ დღეებში დაეტაკება ქუთაისს. გადაბრუნდება ჩვენი შესანიშნავი „გულ-ვარდი“, გადმოიქცევა დიდებული არქიელის გორაკი, განადგურდება მწვანე-ყვავილას მაღლობი და ჩვენც ყველანი ნანგრევებ ქვეშ მოვყვებით...

მშვიდობით, მშვენიერო ქუთაისო
სავარდო და სამაისო.

2 მაისი.

დღეს არაჩვეულებრივი სიცხე ჩამოწვა. ამას თან ცხელი და მძიმე ქარი მოჰყვა. ეს მეტად ცუდი ნიშანია. ღამის სამ საათზე კომეტა გალეია გამოჩნდებაო. მოუთმენლად მოველით ამ ჟამს. კახიანაურის მინდორზე შევიკრიბენით, ფართოდ გადაშლილი ველია. ვარსკვლავს ვდარაჯობთ. შუა ღამეზედ მოიღრუბლა, ცა ჩამობნელდა, ვღარაფერი გავარჩიეთ...

3 მაისი.

გაჭირვების დროს, ნუგეში—ძვირფასი საჩუქარია. ჩვენდა ნუგეშის საცემლად იტალიელი მომღერლები გვეწვიენ. ჩვენ თვითონ რა გვემღერება, მაგრამ სხვისი სიმღერით გვინდა გულის ჯანყი გადავიწმინდოთ. ოთხი ოპერა უკვე გვიგალეს ოთხსაც გვპირდებიან. თეატრი მუდამ ღამ გაჭედილია. ერთმანეთს მხრებზედ ასხდებიან. ან რისთვის ღა უნდა დაზოგონ ფული. დღეს არა ხვალ—ფასტ!.. ამაღამ ფაუსტს მღერიან. მეფისტოფელის იმედი გვქონდა, ჩვენდა საუბედუროდ სუსტი აღმოჩნდა. კუდიან ვარსკვლავის ვერას დააკლებს...

4 მაისი.

შუადღისას მზეს რაღაც ხიფათი შეემთხვა. ვიღამაც ფერადი სარტყელის რგოლი შემოარტყა ირგვლივ და საათ-ნახევარი ასე ჰყავდა შებოჭვილი. ყველანი პირჯვარის წერით ზეცისკენ იხედებიან. მღვდლები თავიანთ საწმყსოს ზიარებასა და შესაწირავის შეწირვას ურჩევს. ბევრს შიშისაგან ლოცვა დაუწყებია და გაუგებრად დუდუნებს...

5 მაისი.

ბაქო ჩანგრეულაო, დაჟინებით ამბობენ. ზღვა გადმოსულა ნაპირებიდან და წაულეკიაო უმატებენ მეორენი. მიწის ძვრა მომხდარა და ნავთი გაპარულაო იძახიან სხვები. ძალიან ვწუხვართ, მაგრამ ჩვენ ჩვენი დარდიც გვეყოფა. ამაღამ უკანასკნელი ღამეა. დიდი ფაცი-ფუცია, ერთმანეთს ემშვიდობებიან. ყველამ თავისი ქონება წ. კ. ს. უანდერძა. ღამის პირველი საათი სრულდება. ხალხი ქალაქის განაპირა ადგილებში გაიხიზნა. ყველანი გულის ფანცქალით აღმოსავლეთს მივსჩერებივართ... ესაა სრულდება დანიშნული ვადა... გულის ფრიალი მატულობს... თვალები ნაპერწკლებს ისვრიან... საღორიის ტყის თავზე რაღამაც ინათა და გაანათა!.. თვალთ დაგვიბნელდა... გაისმა საშინელი ღრიალი... ქარის ზუზუნი... ერთმანეთს მივეტმასნეთ, ავირიეთ... ესაა დადგა დასასრული...

მშვიდ... ვააა... აა... ა!..

6 მაისი.

დილის ნიავმა გამოგვაფხიზლა. თვალები მორცხვათ—შიშით გავახილეთ. დაუჯერებელი სასწაულია. ყველაფერი თავის ადგილასა სდგას. ხეებიც-კი არ ამოძრობილა მიწიდან. ახლად ამოცურებული მზის სხივები დამცინავის ღიმილით შემოგვცქეროდ. ყველას გაოცებისაგან პირი ლოქოსავით დაუღია. რა იყო? რა მოხდა?!.. არაფერი. ვარსკვლავმა თურმე საღორიის ტყის თავზე გადაეფრინა, მაგრამ საბედისწერო კუდი ჩვენთვის არ წამოუკრავს. ჩვენ მხოლოდ შეგვეშინდა... გული შეგვიღონდა და სული გავნაბეთ...

მაშ გადავკრათ!.. ურა!.. ურა!.. მთელ ქალაქში დიდი მხიარულებაა. ზარებს რეკენ. ლიტანიას უვლიან. საღამოს „ილუმინაციას“ აჩაღებენ. ერთმანეთს ულოცავენ. სადარბაზოდ დაიარებიან. საერთო მხიარულებაა. ცნობილ „მარშს“ ლიარას მღერიან...

სწუხან მხოლოდ ანდერძის გაკეთებაზე დახარჯულ ფულებს, რომელსაც ეხლა რა თქმა უნდა გაუქმება სჭირია...

ჯაფარ-ფაშა.

არაფერი, თავის გარეშე არაფერი სწამდა და აზრი და მნიშვნელობა გარეშე არსებათ მხოლოდ მაშინ ჰქონდა, როცა ბატონი მათ ყურადღებას მიაქცევდა. მუშათა ჭირი, მისთვის უმნიშვნელო რამ იყო: მათი უბედურობა მის გულს არაფერს ეუბნებოდა, მის მრისხანე სახეზე ერთ ნაკვთსაც არ შეჰმუხნავდა: მათი კვნესა, მათი ღაღადი—მისთვის კატის კნავილი,—მხეცის ღრიალი იყო. იგი იყო ულმობელი და შეუპოვარი...

თენდებოდა. მაგრამ მზეს თითქოს ეშინოდა უეცრად მოეფინა ქვეყანისათვის სინათლე და ნელ-ნელა, გაუბედავად ჯერ ეკლესიების მაღალ გუმბათებს სტყორცნა სხივები და მხოლოდ შემდეგ გაბედა თან და თან დაბალ შენობებს შემოხვეოდა და მიძინებული ქალაქი გაენათებია... გათენდა.. ქუჩებზე მოძრაობა დაიწყო, მაგრამ თითქო ყველა ერთმანეთის მტერი იყო. თითქოს ყველა ერთმანეთს თვალყურს ადევნებდა, თითქო ყველას ერთმანეთის ეშინოდა: გაუბედაობა, მწუხარება, შიში იყო მათი თვისება; სულით დაცემას, სასოწარკვეთილებას გამოხატავდა მათი დაღვრემილი და დაღრეჯილი სახე...

სასახლის წინ სრული სიჩუმე და მყუდროება სუფევდა. მხოლოდ სარტყელივით სასახლეს გარს შემოხვეოდნენ ბატონის დამცველნი და ქანდაკებასავით გამოჭიმულნი უაზრობას გამოხატავდნენ. მთელი ქალაქიდან სხვა და სხვა ტიპის და ჯურის ადამიანები გროვდებოდა სასახლის მოედნის შუაგულზე და შიშით სავსე თვალებს ბატონის სადგომს მიაპყრობდნენ. ბრბო თან და თან გროვდებოდა, მაგრამ სიჩუმე, სიჩუმე სამარისებური არ ირღვეოდა. თითქოს სიკვდილის მახარობელს გაექროლოს და თავის შემდეგ წაუშლელი კვალი დაეტოვებინოს. უცებ გაიღო დერეფნის კარები და გამოჩნდა ბატონი. ხალხი როგორც მოკრილი თავ-თავი ერთ დროს, ერთხმად მიწაზე გაინართხა და სული განაბა.

— მონებო!—გაისმა მეხისებური, შემზარავი, ძლიერი ხმა—ყმებო და მონებო! მდგომარეობის, წოდების განურჩევლად გიბრძანებთ ამ სამ დღეში აი იქ, შუა ადგილზე, ააგოთ ჩემი ძეგლი. ძეგლი უნდა იყოს სწორედ ისეთი, როგორიც მე გიბრძანეთ და ჩემი მრჩეველიც გაუწყებთ: იმაზე უმაღლესი ამ ქალაქში არ უნდა არსებობდეს არაფერი. იმაზე უდიდესი მხოლოდ ქვეყნიერება უნდა იქმნეს; ააშენეთ ისეთი ძეგლი, რომლითაც შემეძლოს მეტოქეობა გაუწიო თვით ღვთაებას.

— ო-ო-ხ! რაღაცამ გაიღრიალა ქვევიდან. ნელმა ნიავმა მოიტაცა ეს ხმა და ბატონის ყურს მსუბუქად დაეჯახა.

— რაო?—დაიღრიალა ბატონმა— თქვენ ბედავთ ჩემს ბრძანებაზე, ჩემს სურვილზე ბედავთ აზრი იქონიოთ? ახლავ ჩემის ბრძანებით თქვენს თავს ჩემს მხეცებს დავუგლეჯინებდი, რომ საჭირო არ იყოთ. მე მინდა ამ სამ დღეში აღიმართოს აქ ძეგლი, ძეგლი ძლიერების, ძეგლი ბოროტების, ძეგლი ჩემის არსების, ყველაფერი და ყველა დავიმონავე და ახლა მე მსურს ყველას იმ ძეგლის მწვერვალიდან გადმოვხედო. მასალა ძეგლისთვის მზათაა და მას მხოლოდ დამკვიდრება ესაჭიროება. ძეგლს საძირკვლად ჩემი მტრების თავის ქალა უნდა ჩაიყრის, მტრების რომელნიც ჩემს სამფლობელოს შემოესიენ და ამ რამდენიმე დღის წინათ განადგურებას უქადდენ. აი, მათს თავებზე უნდა აშენდეს ჩემი ძეგლი... გესმით ჩემი ბრძანება?— მიპასუხეთ ძაღლებო, რას გაჩუმებულხართ?

— გვესმის: გაისმა ძირიდან გრგვინვის მსგავსი ხმა, მას აკლდა სიძლიერე, აკლდა გამბედაობა.

— მაშ თუ გესმით ახლავე შეუდექით. ბატონი შევიდა თავის დარბაზში და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ მოედანზე იყო ხმაურობა, რომელიც ყრუთ გაისმოდა, დაეჯახებოდა სასახლე-კედლებს, უკუილტვოდა და ჰაერში განიბნეოდა..

გავიდა სამი დღე და ძეგლიც დამთავრდა. საღამო იყო და მზე ჩასავლელად ემზადებოდა. მისი ოქროსფერი სხივები მხოლოდ ძეგლის მწვერვალს აპრიალებდა და ცისარტყელის მსგავსად გარს ეხვეოდა.

ბატონი დერეფანში იდგა და შეჰყურებდა ამ ძეგლს.

— დამთავრდა ჩემი ძეგლი. მხოლოდ მე გავბედე სიცოცხლეშივე ჩემი ძეგლი ამეგო. მხოლოდ მე მივსწვდი მიუწდომელს და ჩემს ქალაქს ახლა არც ერთი სამეფო ვერ შეედრება სიმშვენიერით. ძლიერი ვარ ვით მეფე, ყოვლის შემძლებელი ვით ღმერთი, სახელოვანი ვით ნაპოლეონი. მე ახლა ყველაფერი ვარ და სხვა კი არარანი არიან. მერე ეს მშვენიერება ადამიანთა თავის ქალაზე ავაშენე.

— და ამიტომაც იგი უფრო საშიშარია—გაისმა ბატონის უკან ხმა.

— ვინ ბედავს ჩემს სიტყვებს თავისი ჩაურიოს და ჰარმონია დაარღვიოს? შენა ხარ ჩემო მრჩეველო?. ეგ რა სთქვი შენ? როგორ გავიგო?

— გაიხედეთ დიდებულო ბატონო: ცის ყოველ კიდეებიდან ღრუბლები დაიძრენ. დღეს ჯიქა ქუხილი იქნება და ამ ქალაქში კი თქვენს ძეგლზე უფროსი, უმაღლესი არაფერია.

— დეე დაიძრას, თვით ქვესკნელიდან ამოხეთქოს ცეცხლმა „განირღვნეს საქანელნი მიწისა“ ვითარცა ნოეს დროს. მე არაფრის მეშინია. ჩემი ძეგლი ისეთივე მკიდრა ისეთივე მედგარი, როგორც მე. ავალ ახლავე მის წვერზედ. და როდესაც მგრგვინვარე ზეცა კიდით კიდემდე შემოიკრებს უსაზღვრო ნაპირებს, როდესაც დაქროლავს, დაიზუზუნებს გრიგალი, როდესაც ელვა ვით გველი კლაკნვით ღრუბლებში გაინავარდებს, მე მას სიცილით ხარხარით მივეგებები.

— გთხოვთ დიდო ბატონო.

— შენი თხოვნა მესმის, მაგრამ მე არასოდეს ჩემი სურვილი არ უარმიყვია. ახლავე მივდივარ..

ბატონი თანდათან მაღლა მაღლა იწევდა და ღრუბლებიც თანდათან დაბლადაბლა ძეგლის პირდაპირ გროვდებოდენ. უცებ დაჰქროლა ქარმა, ღრუბლებში ელვამ გაანათა და ასტყდა საშინელი ქექაქუხილი. უცებ ერთი ნაპერწკალი თეთრი ვით თოვლი და მოელვარე ვით მახვილი, ისარივით ძეგლისაკენ გაექანა და ძეგლი შეინძრა. ლუკმა ლუკმათ ქცეული ეს უზარმაზარი ქმნილება დედამიწაზე დაენარცხა და ბატონიც მის ნანგრევებში ჩაიმარხა. იგი საძირკვლიანათ ამოიფხვრა. ძეგლი დაიმსხვრა.

მთა—დიანი.

## შავი-ქვის მრეწველთა კრება

წინა წერილში ვთქვი, რომ საკითხი მექანიკური გზების შესახებ საბოლოოთ გამოირკვა და შესაფერი გადაწყვეტილება მიიღო მეთქი კრებამ, მაგრამ ერთი ნაწილი კრებისა ბ. ბ. პერსენაკისა, გამრეკელისა და სხვათა მეთაურობით ისეა ამხედრებული ამ გზების წინააღმდეგ, რომ არაფერს ერიდებიან, რომ საქმე ჩაფუშონ, თუმცა გულში ხელს იცემენ და საყოველთაო გასაგონათ ამბობენ, რომ გზები ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმეაო.

ოქმის წაკითხვის შემდეგ ბ-ნმა ზდანოვიჩმა აღნიშნა ის გარემოება, რომ ოქმის რედაქციით მეჩხერის გზის გაკეთება იმ შემთხვევაში შეიძლება, როცა საერთო ნებართვა მოვა გზების კეთების შესახებ, ნამდვილათ კი კრებამ მეჩხერის გზა ცალკე გამოჰყო, ვინაიდგან ეს გზა განსაკუთრებულ პირობებშია, რადგან ამ გზის გასაყვანი ადგილები მრეწველთა საბჭოს კერძო მორიგებით მოპოვებული აქვსო.

ამას ხელი ჩაჰკიდეს და შეიქნა გაუთავებელი ლაპარაკი. ჯერ იყო და ჩაჩანიძემ მოითხოვა მთელი საკითხის ხელ-მეორეთ განხილვა, რადგან მას და მასთან ორიოდე კაცს ვერ მოეხერხებინათ დროზე მოსვლა კრებაზე, ამაში ბრალი მრეწველთა საბჭოს და კერძოთ ზდანოვიჩს დასდო, რადგან ესენი ვითომ წინააღმდეგნი არიან, რომ კრება ჭიათურაში მოხდეს ხოლმე.

სიტყვა ბ-ნ ზდანოვიჩის მიერ წამოყენებული კითხვის შესახებ ბევრმა ითხოვა.

**პერსენაკი და გამრეკელი** აცხადებენ, რომ მეჩხერის გზის გამოყოფა მოუხერხებელია, რადგან შესაძლებელია მთავრობამ სხვა გზების გაკეთების ნება არ მოგვცესო და ამ შემთხვევაში უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებითო.

**კიტა აბაშიძე.** შუამდგომლობა მექანიკურ გზების გაყვანის შესახებ ჩვენ ძალა-უნებურად აღვძარით, რადგან კარგათ ვიცოდით, რომ აღმოჩნდებოდნენ ისეთი პირნი, რომელთაც თავი მრეწველობის მოკეთეთ მოაქვთ და ნამდვილად კი პირადი ინტერესის გულისათვის ყოველ ნაბიჯზე გვაბრალებდნენ. დღესაც იმ აზრით ლაპარაკობენ, რომ საქმე ჩააფუშონ.

**თავმჯდომარე.** რამდენადაც მე გავიგე, მეჩხერის გზის ცალკე გამოყოფა იმიტომ უნდათ, რომ ამ გზის გასაყვანათ ადგილების შეძენა არ არის საჭირო. იმ დროს, როცა სხვა გზების გასაყვან ადგილების შესაძენად უმაღლესი ნება-რთვაა საჭირო.

**ს. წერეთელი** (ყოფილი დეპუტატი). შეიძლება ბ-ნი პერსენაკი გულწრფელად იცავდეს თავის აზრს, მაგრამ ჩაჩანიძეზე და სხვებზე ამას ვერ ვიტყვი. ბ-ნი ჩაჩანიძე, დღეს მოვიდა პირველად კრებაზე. მას ჩააგონეს, რომ მეჩხერის გზის გაკეთება დაგვღუპავსო. ჩემი ჩაგონებაც მოინდომეს გუშინ და დღეს, მაგრამ ვერა გაიტანეს-რა. ჩვენ აქ ათი დღეა ვმუშაობთ და ჩაჩანიძესა და მასთან მოსულ ორიოდე კაცს, ჰგონიათ, რომ მათ მოსვლის გამო ჩვენ უკანვე უნდა დავუბრუნდეთ უკვე განხილულ კითხვებს.

**ივ. ნიჟარაძე.** მესმის, როცა პერსენაკი ხელს გვიშლის, იგი ვითომ გზების გაკეთების მომხრეა, მაგრამ საქმე გადაწყვეტაზე რომ მიდგეს, ბ-ნი პერსენაკი არცა ჯდება და არც დგება, მომხრეც არი წინააღმდეგიც და თუ შემთხვევა მიეცა საქმეს აფერხებს. ეს, როგორცა ვსთქვი, მესმის; ბ-ნ პერსენაკს ასეთ მოქმედებას, თავის მდგომარეობა ავალებს—ვერ გამიგია მხოლოდ ის, როცა წვრილი მზრუნველნი ხელს გვიშლიან.

თავმჯდომარე აყენებს საკითხს—ვინც იმის მომხრეა, რომ მეჩხერის გზის გაკეთება შეჩერდეს, ვიდრე გზების გაყვანის შესახებ აღძრული შუამდგომლობა უმაღლესი მთავრობა არ შეიწყნარებს—ფეხზე წამოდგეს.

წამოდგა საკმაოდ ბევრი ხალხი.

**ს. ტარუაშვილი.** ბ-ნო თავმჯდომარე, თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ აქ ძალათი აყენებენ ხალხს.

რამდენიმე კაცი ჯდება.

ფეხზე ადგომილი თვლის თავმჯდომარე და აცხადებს, რომ ნებართვის ცდის მომხრე—36, წინააღმდეგი აღმოჩნდა—33.

**გ. ზდანოვიჩი.** მაგ გადაწყვეტილობით საბოლოოვთ დამარხეთ გზების გაკეთების საქმე...

კრების განახლების შემდეგ.

**თ-დი კიტა აბაშიძე.** ერთი ჯურის ხალხი აგერ ათი წელიწადია ხელს გვიშლის მექანიკური გზების გაკეთების საქმეში, რომ მერე გამოდგენ და ჩვენვე დაგვიწყონ ლანძღვა, რომ გზებს არ ვაკეთებთ. ეხლაც იგივე ჩაიდინეს. (მიმართავს თავმჯდომარეს) საკითხი გადაწყდა ფეხზე ადგომით 36 ხმით წინააღმდეგ 33- უმრავლესობა ჯერ მცირე და მერე შესაძლებელია თვლაში შეცდით. ამას გარდა აქ ბ-ნმა ტარუაშვილმა განაცხადა, რომ უმრავლესობის შესადგენათ ძალათი აყენებდნენ ფეხზე. ამის გამო და იმიტომ რომ საკითხი მეტად სერიოზულია, გთხოვთ ფარული კენჭის ყრით გადასწყვიტოთ კითხვა.

**თავმჯდომარე.** მაგ გვარი განცხადება კენჭის ყრამდე უნდა შემოგეტანათ, ეხლა-კი, რადგან მართლა უმრავლესობა მცირეა და მართლა შესაძლებელია, ხმების დათვლაში შევცდი, კენჭის ყრას შევამოწმებ სხვა და სხვა კარში გასვლით და ამასთან ვინც ვექილობით იღებს კრებაში მონაწილეობას, მათ ვექილობასაც შევამოწმებ.

იკეტება კარები და საერთო ნება რიგის მოცდის მომხრეთ ეძლევათ

წინადადება ერთი გალებული კარით გავიდნენ. გადის—25 კაცი. ჭანიშვილი და ჩაჩანიძე აცხადებენ, რომ მათ კენჭის ყრის შემოწმება უკანონოთ მიაჩნიათ და მონაწილეობას არ იღებენ.

თავმჯდომარე ეხლა წინადადებას აძლევს იმათ, ვინც მეჩხერის გზის გაკეთების მომხრენი არიან საერთო, ნებართვის მიღებამდე, გარეთ გავიდნენ, გადის 49 კაცი.

სახტად დარჩენ ასეთი შედეგით მეჩხერის გზის წინაალმდეგნი, მაგრამ რაღას იზამდენ.

ბ-ნი ვარაზიშვილის წინადადებით, კრებამ დაავალა საბჭოს, რომ იმ შემთხვევაში თუ მემამულეთა შეთანხმებით ან სხვა საშუალებით, შესაძლებელი გახდა მექანიკური გზის გაკეთება. ისე, როგორც მეჩხერის გზის გაკეთება ხერხდება, დაუყონებლივ შეადგინოს გზის გაკეთების გეგმა და პირველსავე მორიგ კრებას წარუდგინოს დასამტკიცებლათ.

ქიმიური ლაბარატორიის შესახებ ამ საგნისათვის არჩეულ კომისიის წევრმა ს. ე. წერეთელმა კრებას მოახსენა შემდეგი: ქიმიკოსმა როსანოკმა შესცვალა თავის წინადადება: იგი თანხმაა მოაწყონ ჭიათურაში, სამინერალო ლაბორატორია 2500 მანეთად ღირებული. იმ პირობით რომ სამი წლის შემდეგ იგი მრეწველთა საბჭოს გადაეცემა საკუთრებათ. სამაგიეროთ მას ამ სამი წლის განმავლობაში ყოველ წლიურად უნდა ეძლიოს 3.000 მანეთი. ინჟინერი მეძმარიაშვილის აზრით მრეწველთა კრებამ თითონ უნდა დაარსოს ლაბარატორია, რაც 2500 დაჯდეს, ხოლო ყოველ წლიური ხარჯი 3280 მ. იქნებაო.

მესამე წინადადება შეუტანია კომისიის წევრს დრინანს—ლაბორატორია მიზანი მარგანელის ანალიზი უნდა იყოს—ამისათვის საკმაოა ერთ დროულად დაიხარჯოს—1000 მანეთი და ყოველ წლიურათ—1740 იმ პირობით, რომ შემოსავალის 50% მიეცეს ლაბორანტს, ხოლო მარგანეცის ანალიზე დაინიშნოს 1 მ. 50 კ.

კამათის შემდეგ კრება ერთ ხმად გადასწყვიტა, რომ ჭიათურაში ისეთ ლაბორატორია უნდა დაარსდეს რომ მარგანეცის გარდა სხვა მადნეულობის ანალიზიდ მოხერხდეს, ხოლო ამისათვის საჭირო ხარჯის შესახებ, კრებამ დაავალა მსჯელობა იქონიონ მრეწველთა საბჭომ და საფინანსო კომისიამ, როცა ლაპარაკი ექნებათ სატეხნიკო განყოფილების დაარსებაზე ჭიათური, სამოქალაქო სასწავლებელთან.

კრება გადაიდო 6 მაისისათვის.

# თეატრი და ხელოვნება

როგორც გაზეთები გვამცნევენ, მუსიკე კ. გ. ფოცხვერაშვილი, კვირას, 16 მაისს, ქართულ თეატრში მართავს კონცერტს, რომელზედაც შესრულებული იქნება თავისივე სამუსიკო და სალიტერატურო თხზულებებში. კონცერტის პროგრამაში ყურადღებას იქცევს სიმფონიური ნაწარმოები, ეგრედ წოდებული „ბრძოლა ბაუბაუ დევისა ამირანთან"; ეს ნაწარმოები წარმოადგენს საპროგრამო მუსიკას და დაწერილია ქართულ მითოლოგიურ თქმულებაზედ. თქმულება ამირანზედ ქართველ ხალხში ფართოდ არის გავრცელებული; ამ თქმულებების ნიმუში თვით ქართულ ლიტერატურაშიაც მოიძებნება; ვის არ უსწავლია დედა-ენიდან ლექსი ამირანზედ, რომელიც გადმოგვცემს, რომ ამირანი და ძმანი მისნი წავიდნენ სანადიროთ; მთაში ნახეს კოშკი, რომელშიაც ესვენა ამირანის ძმისწული; აქ ამირანი შეებრძოლა ბაუბაუ-დევს, რომელიც მიდიოდა ამ მიცვალებულის შესაჭმელად; ამ ბრძოლაში გაიმარჯვა ამირანმა. თვით თქმულებას რამდენიმე საინტერესო მომენტი აქვს, რომელიც მართლა მხატვრის ხელით გარდმოცემას თხოულობს. აი ეს მომენტები დასურათებულია ცოცხალ სურათებით, დაფერადებულია მუსიკითაც, რომლის წყალობითაც თვით ცოცხალი სურათები დიდ შთაბეჭდილებას უნდა ახდენდნენ. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ საპროგრამო მუსიკას ბევრი წინაალმდეგი ჰყავს, თუმცა კი მემუსიკეთა შორის არას დასდევენ ამ მითქმა-მოთქმას და მრავალი დიდებული წარმომადგენელი ამ ხელოვნებისა სწერს რამე შინაარსზედ მუსიკას. ჩვენი თანამემამულეც ერთი ამ თაყვანისმცემელთაგანია; მანაც სცადა ამ სფერაში მუშაობა და, როგორც მსმენებისგან გაგვიგია და თვით რუსეთის გაზეთებშიაც წაგვიკითხავს, ამის ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია; აგერ რამდენიმე წელიწადია „ბაუბაუ-დევი" შეუსრულებიათ რუსეთის სატახტო ქალაქებში, სადაც მსმენელი განვითარებულია მუსიკალურად და ეგრე რიგად არ მოსტყუვდება, და ყველგან ეს თხზულება კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, ჩვენც პირველად გვეძლევა შემთხვევა მოვისმინოთ იგი და, რასაკვირველია, ჩვენი ყურადღება უპირველეს ყოვლისა იმას ექნება მიქცეული, თუ რამდენად შეიტანა ფოცხვერაშვილმა ქართული სამუსიკო ელემენტი ამ ნაწარმოებში.— ყურადღების ღირსია აგრეთვე ქართული სიმღერები საორკესტროთ დაწერილი მის მიერვე, მაგრამ ამეზედ ჩვენ აზრს მკითხველს გაუზიარებთ შემდეგ.

**ლიტერატურული საღამო.** მოგაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს ქართულ თეატრში გრიგოლ რობაქიძე მართავს საინტერესო ლიტერატურულ საღამოს, რომელშიაც, მონაწილეობას იღებენ ჩვენი ძველი და ახალი მწერლები: ვაჟა-ფშაველა, ა. შანშიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ი. მაჭავარიანი, ბ. ახოსპირელი, ი. ელეფთერიძე, გ. ლიასამიძე, კ. მაყაშვილი, ლ. მეტრეველი, შ. არაგვისპირელი, ი. გომართელი, ი. გრიშაშვილი, ს. ყიფიანი და გრ. რობაქიძე. ყოველი მონაწილე წაიკითხავს თავის ნაწარმოებს. ასეთი საღამო პირველია ტფილისში.

**გ. ვ. გედევანოვ-მირაღიანის იუბილეი**, გუშინ, 6 მაისს, ქართულმა და სომხურმა საზოგადოებამ არტისტულ საზოგადოების თეატრში იდღესასწაულა მსახიობი გ. ვ. გედევანოვ-მირაღიანის იუბილეი. პირველად ქართულ დრამატიული არტისტების მიერ წარმოდგენილი იქმნა მოლიერის კომედიის „ტარტიუფის" მეოთხე მოქმედება, რომელშიაც მეიუბილეემ ტარტიუფი ითამაშა. მეორედ სომეხმა არტისტებმა წარმოადგინეს გ. სუნდუკიანცის „დაქცეული ოჯახის" პირველი მოქმედება: აქ იუბილიარმა ოსეფის როლი შეასრულა მესამედ ქართულად დაიდგა ა. ცაგარელის „ხანუმას"—მეორე მოქმედება, სადაც იუბილიარმა აკოფა ითამაშა.. ბოლოს გაიმართა სადღესასწაულო მილოცვები. მილოცვები სიტყვებით იყო შემდეგი დაწესებულებებისა და პირებისაგან: ქართულ დრამატიულ საზოგადოებისაგან სომხური არტის. ამხანაგობისაგან, ქართ.-კახეთის სათავად-აზნაურო საკრებულოსაგან, სუნდუკიანცისაგან „ნაკადულის", „მშაკის", „ჭორიზონის" „თეატრი და ცხოვრების" „ტარას ჯაბიურის" რედაქციებისაგან, „ქართველი მსახიობებისაგან, ქართველ სცენის მოყვარეებისაგან და სხ... იყო რამდენიმე ძვირფასი საჩუქრებიც ხალხი ბლომად დაესწრო. იუბილიარმა მოკლე, მაგრამ მგრძნობიერი სიტყვაში მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

# უცხოეთი

**მოძრაობა ჩინეთის ჯარში.**

პეკინიდან უცხოეთის გაზეთებს ატყობინებენ, რომ ჩინეთის ჯარში ამ ჟამად დიდი მოძრაობაა და მთავრობა ძლიერ დაფაცურებულა ამის გამო.

ჩინეთის ერთ პროვინციაში ანხოიში ჯარმა შეთქმულობა მოახდინა მთავრობის წინაალმდეგ. ჯარს უნდა მოეთხოვა მთავრობას დაუყონებლივ მოეწვია ეროვნული კრება. მაგრამ მთავრობამ წინდაწინვე იცოდა ჯარის განზრახვა და მოასწრო იარაღის აყრა. იმდენი წინდახედულობა კი გამოიჩინა მთავრობამ, რომ არავითარ რეპრესიებს არ მიმართა.

მკითხველს ეხსომება, რომ ხუ-ნანის პროვინციაში ხალხს არა სურდა მთავრობას უცხოელების ფულით გაეყვანა ხან-კოუ-კატნის რკინის გზა. ეხლა ხუნანელებს მხარი მისცეს ხუპეველებმა და კვანდუნელებმა. განიზრახეს დაეარსებინათ ისეთი საზოგადოება, რომელიც რკინის გზის გასაყვანად საჭირო ფულს შეაგროვებდა, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო დაეარსებინათ საზოგადოება. ამან ძალზე აღელვა ხუნანელები და მათი მოკავშირენი. მღელვარება უფრო გაიზარდა, როდესაც მიიღეს ცნობა გზათა მინისტრმა საბოლოოდ თანხმობა გამოაცხადა სესხის აღებაზეო. ამის შემდეგ ხუ-ნანში აჯანყდა 30 ათასი ჯარის-კაცი. აჯანყებას მშვიდობიანური ხასიათი ჰქონდა. პროვინციალურმა პალატამ ჯართან შეთანხმებით შეუთვალა სამხედრო მინისტრს, თუ ნებას არ დაგვრთავთ, რომ რკინის გზა ჩინეთის ფულით გავიყვანოთ, ჯარი არ დაწყნარდებაო. ამ ამბავმა თავზარი დასცა მთავრობას. სამხედრო სამინისტრომ აშკარად განაცხადა ძალა არ შეგვწევს ჯარის ასალაგმადაო და გზათა მინისტრიც იძულებული შეიქნა დაეთმო ხუნანელებისათვის.

სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით ჩინეთის ეხლანდელ ჯარში ძალიან გავრცელებულია კონსტიტუციონური იდეები. ჯარს სათავეში გამოცდილი პირები უდგანან და ჯარიც ენდობა თავის ხელმძღვანელებს. მოძრაობის სულის ჩამდგმელთ სურთ დაანახონ მთავრობას, რომ მათ ძალა აქვთ და რომ საჭიროა ყველა საქმე თვით ჩინელებმა თავისით შეასრულონ.

**მოძრაობა ეგვიპტეში**

ინგლისის გაზეთები ბევრსა სწერენ ეგვიპტეს მოძრაობაზედ. გაზეთების სიტყვით საჭიროა შესაფერ ზომის მიღება. გაზეთები მთავრობას ურჩევენ, ეგვიპტეში ლორდი კიტჩენერი გაგზავნეთ, „მხოლოდ ბრიტანიის მთავარსარდლის რკინის ხელებს შეუძლიან ეგვიპტე ინგლისს შეანარჩუნოსო". სწერენ გაზეთები; მეტად თვალსაჩინოა ეგვიპტეში ეროვნული მოძრაობა. სარევოლიუციო პარტია სცდილობს ინგლისის ბატონობისაგან გაანთავისუფლოს ეგვიპტე. მოძრაობის სულის ჩამდგმელად ინგლისის გაზეთები ასახელებენ ინჟენერ ალი-მურად ეფენდის, რომელიც დაპატიმრებული იყო პრემიერ მინისტრის ბუტროს-ფაშის მკვლელობაში მონაწილეობის მიღებისათვის, მაგრამ საბუთების უქონლობის გამო განთავისუფლებულ იქნა. შეთქმულებს დიდძალი იარაღი აქვთ და საზოგადოდ ყოველგვარ თადარიგში არიან. გაზეთებ ისავე აზრით, მოძრაობის ცენტრად ქაირის უნივერსიტეტია, სადაც მუდამ იმართება კრებები და საიდანაც მთელს ეგვიპტეში ავრცელებენ რევოლიუციონურ აზრებს.

**დავა სპარსეთის გაყოფაზე**

„ფოს. ცაიტუნგ."-ს ლონდონიდან ატყობინებენ, რომ გერმანიის ელჩი წარუდგა ინგლისის მინისტრს გრეის და ელაპარაკა სპარსეთის საქმეებზე. გერმანია წინაალმდეგია რუსეთისა და ინგლისისა, რომლებიც სპარსეთს ორად ჰყოფენ, ერთში ინგლისის გავლენა იქნება, ხოლო მეორეში რუსეთისა. გერმანიის ელჩი ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით შეუწყნარებელია ორმა სახელმწიფომ კავშირი შეჰკრას და შეზღუდოს მესამე სახელმწიფოს კანონიერი უფლება სავაჭრო ეკონომიურ დარგში. გერმანულ გაზეთის აზრით, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ინგლის-რუსეთი ერთის მხრივ და გერმანიას მეორეს მხრივ დიდი განსხვავება არის. გერმანია თავგამოდებით იცავს თავის თვალსაზრისს. გერმანია ამასთან ცდილობს ავსტრიაც ჩაურიოს სპარსეთის საქმეში. გერმანიის სურვილია სპარსეთის ფინანსიური კანტროლი იმის ხელში იყოს, რადგან მას სტრატეგიული რკინის გზები გაჰყავს სპარსეთში.

**კრიტეს საკითხი.**

სალონიკში აღელვებულნი არიან საბერძნეთის მობილიზაციაზე გავრცელებულ ხმების გამო. არა-ოსმალო პოლიტიკოსები ამ ხმების გავრცელებას ოსმალებს აწერენ: განგებ განგაშს სტეხენ, რათა ალბანელების პატრიოტული გრძნობა გააღვიონო. ოსმალეთში ჯარის მობილიზაცია ხდება. მაგ. მობილიზაცია მოახდინეს ტრაპიზონში, ტამსუნში და ერზერუმში. ოსმალეთის მთავრობა სერიოზულად არის შეფიქრიანებული კრიტეს ამბებით. მინისტრთა საბჭოს სხდომა ჰქონდა. ყველა ღრმად აღშფოთებულია იმაზე, რომ კრიტელებმა ფიცი მისცეს საბერძნეთის მეფესა. მთავრობამ გადასწყვიტა კატეგორიული პროტესტი განაცხადოს კრიტელების საქციელზე. საზღვარ-გარეთის გაზეთებს იმედი აქვთ საკითხი ადვილად გადასწყდებაო, მაგრამ ოსმალეთის მთავრობას არა სწამს ეს ოპტიმიზმი და მოელიან საკითხის გამწვავებას.

„ნოვ. ვრემია"-ს პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრის რიფაატ-ფაშის ჩამოსვლას მოელიან დიპლომატიურ წრეებშიო. რიფაატ-ფაშა პირადად მოელაპარაკება პიშონს, საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს კრიტეს საკითხის მოწეს-რიგების შესახებ. რიფაატ-ფაშა პარიზიდან ლონდონს წავა და ამავევე მოელაპარაკება ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრსაო.

# რუსეთი

**ფინლიანდიის საკითხის გარშემო.** თითქმის მთელი განათლებული რუსეთის ყურადღება ამ დროებით ფინლიანდიის საქმეებმა მიიქცია. საიმპერიო კანონ-პროექტის შესახებ კომისიაა განცვიფრებაში მოჰყავს არა მარტო მემარცხენე პარტიათა წარმომადგენელნი, არამედ ოქტომბრისტებიც და ზოგიერთი მემარჯვენეებიც კი. მოვიყვანთ ზოგიერთ ოქტომბრისტ-დეპუტატის აზრს ამ საკითხის შესახებ:

**ა. დ. პროტოპოპოვი.** კომისიის უმრავლესობას, როგორც ეტყობა, სურს, რათაც უნდა დაუჯდეს, აამოს და ყურადღება მიიქციოს მმართველ წრეებში. საკითხი ამ აშკარად გადაწყდა, მაგრამ ვისგან და სად?..

**გ. ვ. ხვოჩინსკი.** მე მომხრე ვარ საიმპერიო კანონმდებლობისა ზოგიერთ საკითხებში. მე მესმის სურვილი, რომ რუსული ენა სავალდებულო იყოს ფინლიანდიის სკოლებში, მაგრამ ვერ გამიგია, რით ხელმძღვანელობენ, როცა ფინლიანდიის შინაურ საქმეებშიც ერევიან და სკოლას, პრესსას და მწერლობას მუხრუჭს უჭერენ. მესმის მიზეზი მუშაობის სიჩქარის, მაგრამ ეს სიჩქარე მაშინ არის კარგი, როცა არსებობს მთელი შემოქმედება და ამ შემოქმედებას მე ვერ ვხედავ. არის მხოლოდ ნაჯახი და ამ ნაჯახით მიუფიქრებლად სჭრიან საკითხს.

**მ. ა. ისკრიცკი.** არ შემიძლია მსჯავრი არ დავსდო, როგორც სახელ. სათათბიროში ამბობენ, ამ ჩუმ შეთქმულებას. მე ფინლიანდიის უფლების დარღვევათ მიმაჩნია ჩვენი კანონების იქ გავრცელება. ასეთივე დარღვევათ მიმაჩნია იქაურ სკოლებში რუსული ენის გაბატონება. მე საჭიროთ მიმაჩნია საიმპერიო კანონების არსებობა, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრულ პირობებშიო.

**ე. პ. კოვალევსკი.** კოვალევსკი სახალხო განათლების საკითხის საუკეთესო მცოდნეა ოქტომბრისტების პარტიაში. იგი ამბობს, რომ ფრაქციაში დიდ წინაალმდეგობას გაუწევს კანონ-პროექტსო. ამ კანონ-პროექტში თუ შეიძლება რამეს მიღება, ეს არის რუსული ენის სავალდებულოდ გახდა ფინლიანდიის სკოლაში, ამას იქით მე არ ვინაწილებ არაფერს კანონ-პროექტიდან.

**თ-დი ა. დ. გოლიცინი.** წინაალმდეგობას გაუწევ ამ პროექტს და ხმასაც მივცემ წინაალმდეგ უმრავლესობის სურვილისა. დიდი წინაალმდეგი ვარ ფინლიანდიის შინაურ საქმეებში ჩარევისა. თუ კი ოპოზიციამ მიიღო მონაწილეობა კენჭის ყრაში, მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი და მათი ხმების შეერთებით კანონ-პროექტი უარყოფილ იქნებაო.

**ნ. ა. ხომიაკოვი** დარწმუნებულია, რომ კანონ-პროექტი არ გავა სათათბიროში; თავმჯდომარედ ნამყოფი ამბობს: ოპოზიციამ უარი განაცხადა კომისიაში მუშაობაზე და ვერც გავამტყუნებთ, რადგან არ შეიძლებოდა კომისიაში მუშაობა. დასასრულ ერთ ნაციონალისტების პარტიის წევრის აზრსაც მოვიყვან:

— ფინლიანდია მოსპეთ?—ჰკითხა ერთმა ოპოზიციის წევრმა.

— და მერე როგორ. მე საავადმყოფოში არ დავრჩები ამ პროექტის განხილვის დროს. არ მინდა დავესწრო ასეთ ვაკხანალიასო.

**ადმინისტრაციის მოქმედება.** „რეჩს" ლიბავიდან ატყობინებენ. ლიბაველ პოლიციას, როგორც ისპანიის ხარებს, ძალიან ეშინიანთ წითელი ფერისა, ლატიშების თეატრში ერთ მსახიობს მიართვეს გვირგვინი წითელი ლენტით პოლიციას ესრეთი საჩუქარი არ მოეწონა და გვირგვინი წაიღეს. მსახიობმა პროტესტი განაცხადა და თუმცა გვირგვინი ბოლოს მაინც დაუბრუნეს, მაგრამ ლენტი მაინც მოახსნეს.

**ფინლიანდიის საკითხი.** „კასპს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ. სახელმწიფო სათათბირომ გერმანიის და სხვა ქვეყნის პარლამენტებისაგან მიღო პროტესტი ფილიანდიის საკითხის გამო. გადაწყვეტილია ეს პროტესტი არ გამოაქვეყნონ და არც კომისიას გადასცენ, მხოლოდ დასტოვონ ქაღალდებში სიტყვით.

**ჰაერში ფრენა.** როგორც დეპეშებიდან ვიცით პეტერბურგში ჰაეროპლანების გაჯიბრება გაიმართა. „კასპის" სიტყვით ავიაციის კვირა დეფიციტით დასრულდა. შემოსავალმა მიაწია მხოლოდ 85,000 მან. და გასავალი კი 110000 მან. იყო. საშაბათს უმაღლეს პირთა თ ნადასწრებით გაფრინდებიან ავიატორები. ამ დღეს გარეშე პირთ არ დაუშვებენ. შემდეგი გაფრენა უნდა მოახდინოთ შემოდგომაზე და მოწვეულნი იქნებიან საუკეთესო ავიატორები.

# ქართველთა შორის

**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ შემოსწირეს:**

ეკ. დვალისამ სურა. ლამბაქი ნახევარ დუჟინი, ზაქ. როსტომოვმა 7 ნაჭერი სხვა და სხვა რამე, ნ. სარუხანოვმა ჩაის კოვზი, ლეიბმანმა სამი ნაჭერი საპონი, ნ. მაყაშვილმა ორი ცხვირსახოცი, ამირბეგოვი და ამხ. ღვინო 6 ბოთლი, მ. გეურქოვმა ბამბანიორკა, ტ. კობლაძემ ფინჯანი, ე. ჩაჩიბაიამ 10 ბოთლი ღვინო, ან. ურუშაძემ, საფერფლე. ფ. ანთაძემ: ქანდაკება. ვ. ვარამაშვილი: 2 ბოთლი ღვინო. ნ. ფალავანოვმა, ჩითის სარუბაშკე. ობაროტმა, ფინჯანი შოკოლადით და კოლოფი კამფეტები. მ. ხითაროვმა: სარუბაშკე. საათსაზოვმა: პატარა ყუთი, საფერფლე, შუშის კვერცხი და ლიმის ვაზა. ვ. მშველიძისამ: ნაკერი კოფთა. ეკ. ილინისამ: 10 ც. ყავის ხალფეტკი, და რამკების ქვეშ გასაკრავი. თ. ბებიაშვილმა: სხვა და სხვა ნივთი. ნ. ბებიაშვილმა: სამარილე და შანდალი. აბოვიანცმა: 6 სხვა და სხვა საკანცელარიო ნივთები. გალუმოვმა: სხვა და სხვა ნივთები. ხალათოვმა: სხვა და სხვა ნივთები. ყორქელიამ: სავარცხლები. საკანდიტერო „დოვერიემ": ერთი მანეთი. მკრტუმოვმა: სხვა და სხვა ნივთები. გრიგორიევმა: — კაელაშვილმა: სხვა და სხვა ნივთები. მამედმა: საპონი. არისტაკიანცმა: სხვა და სხვა ნივთები. ვართანოვმა: 3 არშინი მატერია. ან: ყუთი კანფეტი. ბარილოვმა სხვა და სხვა ნივთები. მ. კანტინოვმა: ერთი ყუთი კანფეტი. სააკოვმა: სხვა და სხვა ნივთი. შუიევმა: სხვა და სხვა ნივთი. ამხ. პროვოდნიკმა: 10 ც. სხვა და სხვა რეზინის ნივთი. როტინოვმა: 30 არ. მატერია. ვართანოვმა: 1 ყ. საპონი. სიმონიანცმა: ერთი ვაზა. ლისინოვმა: 8 ნივთი. მირველოვმა: 1 ყუთი მაზი. ჭიშკარიანმა: სხვა და სხვა ნივთი. პრივოვაროვმა: 2 ნივთი. ჩარახჩიანმა: სხვა და სხვა ნივთი. ჩიტაევმა: 2 ბრელოკი. კეპიჭაძემ: სხვა და სხვა ნივთი. გერმანმა: სხვა და სხვა ნივთი. ბერუჩოვმა: ხანჯალი. ბადაცლემა: პენალი. ბოიადჟანოვმა: ფეხსაცმელები. ცეიტლინმა: ოთხი ნივთი. ნორბელინმა: რამდენიმე ნივთი. ტერ-გრიქუროვმა: 2 კვერცხი. ზახარიანცმა: რამდენიმე ნივთი. ს. კაცმ: — მელქუმოვმა: — ხარაზოვმა: სხვა და სხვა ნივთი. კუკუდჟანოვმა და ხარიჭისაშვილმა: სხვა და სხვა ნივთი. მიასნიკოვმა: სხვა და სხვ. საკანცელიარო ნივთი. ივანოვისაგან: ერთი წყვილი ბალიში ნაკერი. კირაკიზოვისაგან და ოგანოვისაგან: შეკერული ყვავილები. ხარაევისაგან: ორი გორგალი ძაფი. თოთაიასაგან: პირსახოცი. ბასილაიასაგან: საყელოები. ჭავჭანიძე და გველესიანისაგან: 4 რედიკული, 6 პორტმანი, 3 საყელო, 5 წყვილი ფერჩატკი, 2 ქამარი, 6 საყელო 6 წყვილი სამაჯური. მანუკოვისაგან: ერთი ხელსახოცი. ჯავ-ხოვ ს გან: 2 ნაჭერი მატერია. ?უი კაბარინცისაგან: 2 ცხვირსახოცი. ბახტოევისაგან: ცხვირსახოცი. ნერსესოვმა: ერთი რედიკული. არუთინოვმა: თმის სავარცხელი. არუთინიანცმა. ორი ჩაის საწურავი. დოვლათბეკოვმა: საწურავი. ოგანესიანცმა: ჩითი სახალათე. საპნებლიძემ: ჩითი. შახნაზაროვმა: კეპკა. გერმანმა: გალსტუკი. მაღაზია „კავკაზმა" ცხვირსახოცები. ბაღდასაროვმა: ორი დუჟინი ცხვირსახოცი. ივანაშვილმა: 1 ქუდი (ფაფახი). კონდახსაზოვმა: 1 დ. ცხვირსახოცი. სააკოვმა: 1 კარ. ღილები. ჩიკვაიძემ: მოსახვევი. მენთეშოვისაგან: 1 დ. საპონი. გუკასოვმა: 1 ზეწარი და სხ. ფარსადანოვმა: 1 დ. სავარცხელი, 1 ჩაშკა და სხვ. მილოვმა: 1 დ. ხელსახოცი. ამირაღოვმა: 2 კასინკა. ტერ-პეტროსოვმა: ნახ. დ. საპონი. სალაიანცმა: 2 მოსახვევი. აფრიკოვმა ვანკა სტანკა, კოხანოვმა ვაზა და თეფში, ეგანოვმა თეფში, ჩოლოყაშვილმა სხვა და სხვა ნივთები, ტაუგლიჯმა ვერცხლის ბრელოკი, ახუნდოვმა კოლოფი მარმელადი, ავაკიანცმა შარფი, არისტაკოვმა დუხი, ხარატიანცმა ერთი ბანკა მაზი ფეხსაცმელისა, აბშტინმა 15 წიგნაკი, ანდერსენმა ათი შაური, ჯავახოვმა 5 არშინი ჩითი, ბანდოიანმა 1 კოლოფი მაზი და რეზინი ფეხსაცმელებისთვის, სტერმანმა 1 საბავშო ქუდი, ცინდელმა ცოცხი, ნებროვმა კარობკა მომპასე, ჩაგანავამ 2 კოლოფი პუდრი, 2 ნაჭერი საპონი და კოლდკრემი, ხარატიანცმა 1 ყუთი მაზი ფეხსაცმელისა, მირიმანოვისაგან საყელოები, უნივერსალისგან კვერცხი, მუხოდოვისაგან საბავშო კეპკა, ალიხანოვმა კლიტე, კუპერმანისაგან საყელოები, რაევისაგან პაპიროსი, ტერ-ხარიტავნივმა ზაპინკები, ნ. კიკნაძემ წიგნები, ს. ტერიევმა 3 ც. პირსახოცი, ნერსესოვმა ბავშვის ჩუსტები, რაბინოვიჩმა ძეწკვი, კორიშვილმა წყვილი სავარცხელი, რივკეხმისგან ბრელოკი, კირაშევმა ორი ბურთი, კუნდუროვმა 3 გირ. კანფეტი, ზახაროვმა ორი ნივთი, კუხიანიძემ ბზრიალა, ვატულიანცმა ნივთი, გუკასოვმა ლენტი, შიკანიანცმა ყავა, მარტიროსიანცმა ორი კარანდაში, კობახიძემ საშაქრე, მაყაშვილმა 1 მ. 50 კაპ. ავალიანმა ორი დანა, ნასარიძემ ერთი ყუთი კანფეტი, არ. აკოფოვმა 2 ბალიში, თარამანოვმა ერთი ვეერი, ი. ხარაევმა 3 გორგალი ძაფი, ბარილოვმა საყელოები, მუშკამბარიანცმა 2 ცხვირსახოცი, გევონდოვმა 3 ცალი ნივთი, ატოლიანცმა 2 ნივთი, დავლაშეროვმა 1 ნივთი, ამხ. ფრიდონ 4 ნივთი, ყ. ლაზარიანცმა 1 დ. ხელსახოცი, ტერ-ტუმანცმა 3 ნივთი, ფარსადანოვმა სხვა და სხვა ნივთები, ვ. გადილიამ სხვა და სხვა წიგნები, საეროს ამხ. ოცი ბოთლი ღვინო, ი. ვაჟიკაშვილმა 10 ბოთლი ღვინო, სალაყაიამ ტკბილეულობა, საკაიანცმა ტკბილეულობა, ბაბანიანმა 20 კაპ. ალი ისკანდაროვმა კამფეტები, მირზაიანმა საპონი და პაპიროსი, ოგანეზოვმა 20 კაპ., ნადოდისკიმ ბოთლები 10 ც., გელიევმა ვაქსი, ანასტასია ლუარსაბის ასული ნინიევისაგან 12 ხელსახოცი და 1 საშაქრე.


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**



(Метцль и К. N 43014) (10—6.—4)

# მცხეთაში

რკინის გზის სადგურის პირ-და-პირ

# ი ყ ი დ ე ბ ა

**ბელსკის აგარაკი.**

აგარაკი მშვენივრად არის მოწყობილი, შესდგება 6 ოთახისაგან და უჭირავს 360 ოთხ-კუთხი საჟენი. აგარაკთან მშვენიერი წყაროა, მოწყობილია მოსამსახურეთა ოთახებით. აგარაკი გაიყიდება 4000 მანეთად. აგარაკი შეიძლება ზაფხულშიაც გაქირავდეს 125 მანეთად, აგრეთვე შეიძლება აგარაკის დიდი ხნით იჯარით გაცემაც. საქმის გასაგებად მიმართეთ გოლოვინის პროსპექტი, N 19, მაიზელსის მაღაზია. (2—1055—2)

**მთავრობის საქველ-მოქმედო ალეგრი.**

1910 წ. განმავლობაში 5 ტირაჟი კიდევ. ყოველ ტირაჟში უმთავრესი მოგება 1,000,000. დაწვრილ. ცნობები უფასოდ ეგზავნება: БЕРНАРЪ и К°., Парижъ, Севастополь бульв., 30. წერა და ადრესი რუსულად შეიძლება.
წერილის გაგზავნა საზღვარ გარედ ღირს ღია ბარათი—4 კ., დაბეჭდილი წერილი—10 კაპ.

(Метцль и К° N 29201). (4—6.—3)


სტამბა „გუტენბერგი", ოლღას და სლეპცოვის ქ. კუთხ., № 1.

რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა.